

გამოცემა მმ. თავართხილაძეების № 88.

ეპილოგი

ეპილოგი

ე. ქადაგინის.

გათოვი

სტამბა მმ. თავართხილაძეების
1901



ଶ୍ରୀ ବିଜୁ ପାତ୍ର

გამოცემა მმ. თავართვიდებულის № 88.

ეპროვის

მესტრი ემუსტას

1444

ს. ქ ა ს ხ ი ს ხ ი ს .

— — — — —

ბ ა თ თ ა 0

სტამბა მმ. თავართვიდებულის

1901



Дозволено Цензурою г. Тифлисъ, 13 Мая, 1900 г.

ევროპის მეაბრეშუმობა.

I.

საოცარი ხალხია ეს ევროპიელნი! დადიან, მოგზაურობენ, ნახულობენ შორეულ ქვეყნებს და, რაც კი რამეს იპოვიან სახეიროს, ეცდებინ მაშინვე გადმოიღონ და გაანვითარონ. ევროპიელი არ გორავს მუთაქაზედ ქართველივით, არ ქეიფობს „ირლნით“ და დაფაზურნით, არ ჰავატრავს ხანჯლით თავის მოძმებს, იგი არ გაიძახის არც დალიე-დამალევიეს, არც ალავერდი-იაშშიოლს. ევროპიელი არ ჰყარგვს ტყუილ-უბრალოდ ძვირფასს დროს, იგი მარად ჭაქმეშია გართული, ჰქმნის მეცნიერებას, ხელოვნებას და ლიტერატურას, იგონებს ახალ მანქანებს და იარაღებს, ანვითარებს მრეწველობას, მეურნეობას და ვაჭრობას, ამ რიგად მიდის წინ, აარსებს აურაცხელ სიმიდიდრეს, ჰქმნის მაღალ კულტურას და ცივილიზაციას.

რას წარმოადგენდენ წინად დღევანდელი განათლებული მდიდარი და ბედნიერი ევროპიელნი? ისინი იყვნენ ღატაკნი და საბრალო ველურნი; იმოსებოდენ ნადირთა ტყავით, სჭამდენ უმ ხორცს და სკელორობდენ ან გვირაბებში, ან ხის ფულუროებში და ან საცოდავ ქოხებში. ამავე დროს კი ბრწყინვადა დიდებული აზია და ჰყვავოდა მისი კულტურა. აზიის სახელოვანმა ერებმაა ჩინელებმა, იაპონელებმა, ინდოელებმა, საპარსელებმა, ასურელ-ბაბილონელებმა, ეგვიპტელებმა (აფრიკაში), ფინკიელებმა და ქართველებმა ჩაუდგეს საძირკველი ტრეჭმნეს პირველი კულტურა, პირველი განათლება, გამოვიდენ კულტურ მდგომარეობიდან, იწყეს ხენა-თესვა, დაბინავდენ.

ააშენეს სოფლები და ქალაქები; ააშენეს სახლები, ცოხები, კოშკები და დიდრონი ქვიტკირის კედლები ველურ ხალხთა მოსაგერებლად, შეჰქმნეს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ფორმები, შეჰქმნეს სამცონი და დიდრონი სახელმწიფონი, შეჰქმნეს სარწმუნოება, ხელოვნება და მწერლობა, იწყეს ვაჭრობა და მრეწველობა, მოიგონეს მრავალი სამუშაო იარაღები და მანქანები და, ასე გასინჯეთ; ამ აზიელებმა ჩაუდგეს პირველი საძირკველი ფილოსოფიას და მეცნიერებას.

დიახ, ჩაიდინეს მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ეს დიადი საქმეზი და შემდეგ, ოთქო დაიქანკენო, აზიელნი მიეცენ განცხომას, ძილსა და მოსევნებას; შეჩერდენ, გაიყინენ თითქო ერთ წერტილზედ; უმრავლესი წავიდა კიდეც უკან და ბევრიც მოისპენ ერთიანად. ესაა ბუნების და ისტორიის კანონი: თუ წინ არ მიხვალ, მაშინ უკან ჩოჩდები და იღუპები. წყალი მანამდე ცოცხალია, ანკარაა, გრილი და საამო, სანამ იგი წყაროებად და მდინარეებადაა; შეაჩერეთ მისი მსულელობა და იგი გარდაიქცევა დამპალ გუბედ, შერალ ჭობად, იმოსება ხავსით და ლეყეფით, შემდეგ კი შრება ერთიანად. სწორედ ამ წყალს წაავავს ყოველი ადამიანი, ყოველი ერი და მთელი კაცობრიობა. სად არიან დღეს ის ძველად განთქმულნი ეგვიპტელნი, ფინიკიელნი, ასურელნი და ბაბილონელნი? დღეს დიდებულ ნილოსის ნაპირებზედ განათლებულ ეგვიპტელის ნაცვლად ბინადრობს საპრალო, ლატაკი ფელახი; გამქრალი ერთიანად არსება ფინიკიელთა; გატიალებული ტურქი პალესტინა: და სადაც ჰყვაოდა დიდებული ბაბილონი, დღეს იქ მხოლოდ ქვიშა და სილაა, ღღეს იქ მეფობს. საშინელი ხორშაკი და ხრაკეს შემთხვევით გამვლელ ქარავანს.

დიახ შეჩერდა, მიიძინა აზიამ, მაგრამ მისი კულტურით ისარგებლეს ბერძნებმა, რომელთაც შეჰქმნეს ახალი დიდი კულტურა, ახალი ცივილიზაცია და უანდერძეს ეს ჯერ რომალოთ და შემდეგ მთელს ევროპას, მართალია, საერთო ძილის

დროს აზიაში VII-VIII საუკუნეებში მოხდა არა ჩვეულებრივი მოვლენა; გაიღვიძა ხრიოქ არაბისტანში ნახევრად ველურმა ხალხმა, მოედვა, ვითა გრიგალი, მთელს აზიას, აფრიკას, ევ-
როპას, დაანთხია ურიცხვი სისხლი, მაჰმადის სახელით, შეჰქმნა
დიდრონი სახელმწიფონი, დაეწაფა. მხურვალედ ელინთა ფი-
ლოსოფიას, მეცნიერებას და ლიტერატურას, დააარსა უნივერ-
სიტეტები, განაახლა და გაანვითარა ევროპის სამღვდელოსაგან
დევნილი მეცნიერება, ფილოსოფია და მით მოუტანა ევროპას.
და მთელ კაცობრიობას უუდიდესი სარგებლობა. მაგრამ ეს
ფხიზელი და ნიჭიერი ერი, ეს არაბნი, ჩაჰქრენ მალე ვით
ბურბუშელა, დაწყენ, გაიხრწნენ და დღეს მათ საცოდავ ნა-
წილებს აღმოსავლეთში დაეპატრონა ოსმალო, დასავლეთში
კი ისპანია და საფრანგეთი.

მაგრამ არაბებმა ჰკრეს საშინელი მუჯლუგუნი, გააღვი-
ძეს და გაანვითარეს ევროპის სული. ევროპიელმა ჯერ კიდევ
წინად გაახილა. თვალი, იხილა ელინთა და რომაელთა ცივი-
ლიზაცია, წაპაპა მათ და დაადგა განვითარების გზას; მაგრამ
არ დააცალა მას ამ შარაზედ სიარული ქრისტეს მოსვლით გა-
მოწვეულმა რელიგიურმა პერტურბაციამ (არეულობამ) და პა-
პიზმმა, კვლავ დაუბნელა მას თვალი და შთააგდო. იგი თით-
ქმის ათასი წლით მონობის და უმეცრების დილეგში. სწორედ
ამ დროს ევროპიელთა პატრონად გამოჩნდენ არაბნი, რომელი-
თაც დაიპყრეს სხვათა შორის ისპანია, ააგეს ქალაქი კორდოვა,
ააშენეს დიდებული უნივერსიტეტი და გახადეს იგი სწავლია-
განათლების წყაროდ, რომელსაც ჩუმად ეწაფებოდენ ნიჭიერი
ევროპიელნი და ავრცელებდენ მას თავიანთ ქვეყანაში. ჯვა-
როსნების ომებმა, აღმოსავლეთთან ვაჭრობის დაარსებამ, ბი-
ზანტიის იმპერიის დანსხვრევამ, მეტადრე კი კომპასის, თო-
ფის წამლის დაბეჭდვის. მოგონებამ და კოლუმბის შიგრ ამერი-
პის აღმოჩენამ გააღვიძეს და ააფეთქეს ერთიან ევროპის სული;
გაღვიძების ცისკარი. კი ათინათინდა შვენიერ იტალიაში, ეწო-

და რენესანსი (განახლება) და მოედვა მთელს ევროპას. გაი-
ლეიძეს გერმანიის, ფრანგიის და ინგლისის ერებმაც. რენესან-
სი შეიცვალა ჰუმანიზმის და ოფორმაციის ხანებად; მათ მოჰ-
ყვა განათლების ხანა, რომელიც დაგვირგვინდა ევროპის კონ-
სტიტუციით და კერძოდ საფრანგეთის დიდი ოქულიუციით
და რესპუბლიკით.

ევროპის გალვიძებულმა ხალხმა უარპყო საერო და სასუ-
ლიერო ავტორიტეტები, დაცუ მტარეალი და უსაქმური, გა-
რყვნილი არის ტოკრატია, შეებრძოლა გმირულად ძველ ტრა-
დიციებს, ცრუ-მორწმუნეობას, ასკეტიზმს, პაპიზმს. და სხვ. და-
თუმცა ეს ხანგრძლივი ბრძოლა ძვირად დაუჯდა მას, მაგრამ
ბოლოს მარნც გაიმარჯვა და აღიარა საერთოდ თავისუფლება, პი-
როვნების ემანსიპაცია. და ყოველი კაცის ერთგვარი უფლებანი
სამსჯავროს და მთავრობის წინაშე. მართალია დარჩა კიდევ
ბევრი რამ გაუკეთებელი, მაგრამ უნდა ვიმედოვნებდეთ, რომ
მათაც გააკეთებს იგი.

ეს ოთხასი წელია, რაც გამოვიდა ასპარეზზე ევროპის
გალვიძებული. გონება და რა და სასწაულები არ ჩაიდინა
მან! შეჰქმნა ახალი მეცნიერება და ფილოსოფია, ააყვავა ხე-
ლოვნება და ლიტერატურა, შეჰქმნა ახალი პოლიტიკური და
სოციალ-ეკონომიკური ფორმები, გაანვითარა მეურნეობა, მრე-
წველობა, ვაჭრობა და სხ. და სხ. ევროპის კვალს გაჰყეა მისი
პირმშო ამერიკა და გადააჭირბა კიდეც თავის მამას და მოძღვარს.
ნეტა რას არ სჩადიან ევროპიელნი, და ამერიკელნი! იკონებენ
მანქანებს, აშენებენ ქარხნებს, ჰქონიან და ამზადებენ აურაცხელ
საქონელს, ანგრევენ კლდეებს და ილებენ ასნაირ მაღნეულო-
ბას, ბერლვენ მიწას და ამოაქვთ ნავთი და ქვა-ნახშირი, ხვრე-
ტენ მთებს, ავსებენ ხრამებს, აშენებენ არცელ ბილეებს და გაჰ-
ყავთ რკანის გზები და ორთქლის და ელექტრონის გატარებ-
ლები; უხვდებიან წინ დიდროონ მდინარე-ჩანჩქერებს, უდგმენ
რკინის ტურბინებს და ჰქონიან ელექტრონს, რომელიც სინათ-

ლედ, სითფარდ და მექანიკურ ძალად გაჰყავთ მავთულებით ქალაქებსა და სოფლებში, გაჰყავთ ქარხნებსა და რკინის გზებში და, ასე გასინჯეთ, მინდვრებშიაც კი მიწის სამუშაოს, სასუქად (ე. ი. ქიმიურ თეისებათა შესაცვლელად და ნოკიერების მოსამატებლად).

განა ამას დასჯერდა მოუსვენარი ევროპიელი! მან მოიგონა ტელეგრაფი, ტელეფონი, დაიმონა ორთქლი, ჰაერი, წყალი, ქარი და მთელი დედამიწა, თეით მძეინვარე ზღვებსა და კერანებს მან შამოარტყა რკინის ჯაჭვი და დაარბენინებს მათ მღელვარე გულზედ აურაცხელ თრთქლის გემებს და ხომალდებს. ნეტა რა არ ჩაიდინა ეტოჯელვე გალვიძებულმა აღამიანმა! მან გამოიკვლია მიწის თეისებანი, განაწვლილა ყოველივე ნივთიერებანი და სცნო მათი საიდუმლონი; მან შეისწავლა ყოველივე ცხოველი და მცენარე, შეისწავლა მათი შინა ორგანიზაცია და მათი ცხოვრება; მან სცნო თუ რა არის მექანიკური ძალა, სითბო, სინათლე, ხმა, მაგნიტი და ელექტრონი, ერთი სიტყვით შეიგნო ბუნების საიდუმლონი; მაგრამ არც ამას დასჯერდა იგი. იმ თავითვე ჰეიბლავდენ მას ცა და ცისიერნი; გამოიკვლია მათი ვითარება და არა თუ შეიტყო, თუ რა არის მზე, მთვარე და ვარსკვლავები, ან რა სიღიღის ან რა სიშორეზედ არიან იგინი, არამედ სცნო, თუ რა ძალით, რა კანონით მოძრაობენ ისინი და რა ნივთიერებისაგან არიან შემდგარნი. ახლა კი შეუდგა მას განხილვას, არიან თუ არა ცხოველ-მცენარენი და აღამიანნი ამ მნათობებზედათ.

გალალებული ევროპიელი არც ამაზედ შეჩერდა. იგი შეუდგა იმის განხილვას, თუ რა არის აღამიანის სული და ცხოვრება, რას წარმოადგენს ან რა წესებს ემორჩილება მსოფლიო ისტორია, საიდან წარმოსდგა აღამიანი, სად მისისწრაფის იგი, როგორ ვითარდება ან რაა მისი მიზანი და სხ. და სხ. ერთი სიტყვით შრომობს, მოქმედებს აღამიანის მუვიძარე აზრი და თცნება, ჰელეჭს საიდუმლოების ფარგლას შეკრებას, ცხოვრებას და ის-

ტორიას, მიღის ჭეშმარიტების, სიკეთის და შვენიერების გზაზედ, ანვითარებს მეცნიერებას, ჰქმნის კაცობრიობის კეთილდღეობას და მის აღმოჩენას დაწინმსვლელობას არა აქვს საზღვარი.

ნუ თუ საკვირველია ამას შემდეგ, თუ ამ ფხიზელმა ეპროპიელმა მოსტაცა მძინარე აზიელს აბრეშუმის საიდუმლოება და უზენაეს ად ააყვავა მეაპრეშუმობა და კერძოდ ფარჩეულის ქსოვა!

მაგრამ სანამ განვიხილავდეთ ამ მეურნეობა-მრეწველობის ფრიად საგულისხმო დარგს ეცროპაში, საჭიროა ვიცოდეთ მისი მოკლე ისტორია.

II.

აბრეშუმის სამშობლოდ ცნობილია აზია. არსებობს ორი უმთავრესი ჯიში აბრეშუმის ჯიშია: ა). თეთრი პარკის მკეთებელი, რომლის სამშობლო ჩინეთია და ბ). ყვითელი პარკის მკეთებელი, რომელიც უხსოვარ დროიდან არსებობდა სპარსეთსა და კავკასიში. იყო დრო, როცა არავინ იცოდა აბრეშუმის ჩმარება და აბრეშუმის ჭიებიც სკეოვრობდენ ტყეებში ნადირად. პირველად აბრეშუმის ხმარება შემოიღეს ჩინეთში. მეცნიერ პარიზეს და მაიოს სიტყვით 3000 წლის წინად ქრისტეს მოსვლამდე ფუნ-ხის მეფობის დროს ჩინეთში უკვე შამოულიათ ხმარებაში აბრეშუმის ძაფი, რომელსაც გრეხდენ და აბამდენ სიმებად ჩანგის მსგავს 27 სიმიანს მუსიკალურ საკრავს კინს; მაგრამ ეს არ ყოფილა თურმე შინ დამზადებული ამოხვეული აბრეშუმი. აბრეშუმის ჭიის მოვლა-მოშენება, პარკის ამოხვევა და ამ რიგად ძაფის დამზადება მოუგონია სილინგ-შის, ჩინეთის. იმპერატორ ლოანგტის ცოლს 2698 წელს ქრისტეს მოსვლამდე. ჩინელებმა ეს ქალი ჩარიცხეს წმინდანად და უწოდეს ბჟოლის და აბრეშუმის ჭიის სული (ანუ გენი).*)

*) იხ. E. Pariset: „Histoire de la soie“ I ტ. გვ. 11—12.

აქედგან აზიას და ევროპიელ ხალხთა სახელები აბრეშუმისა წარმოსდგენ ჩინურიდან. მაგ. ჩინურიდ აბრეშუმის ჰქვია სერპ ანუ სე, კორეულიად სირ, მანღოლურიად სირკე, მანჯურულიად სირხ, ბერძნულიად სერ, რომაულიად სერიკუმ, ფრანგულიად სუა, ნემეცურიად ზაიდ, იტალიურად სეტა, ისპანურად სედა, ინგლისურად სილკ, რუსულიად შოლკ და სხ. ყველა ეს სიტყვები კი წარმოსდგენ ჩინურიდან სერპ.

ხვინა-თესვისა არ იყვეს, მეაბრეშუმობასაც ისე ღრმა პატივს სცემენ ჩინეთში, რომ დიდებულ იმპერატორის ცოლებიც იძულებული არიან თავის ხელით აღზარდონ, მოიყვანონ და დაამზადონ აბრეშუმი. აი სხვათა შორის რა საგულისხმო ამბავს ვჰკრებთ ჩინურ ცერემონიის წიგნიდან, რომელსაც ეწოდება ლი-კი (li-ki):

„ყოველ გაზაფხულს თვით იმპერატორის ცოლი, ხასები და სეფე-ქალები მოვალეობი არიან თავიანთ ხელით მოკრიფონ-ბჟოლის (თუთის) ფოთოლი, აღზარდონ აბრეშუმის ჭია და დაამზადონ პარკები. ამ დროს ამ ქალებს დაშლილი აქვთ გაიკეთონ ძვირფასი სამკაულები. ისინი გულმოდგინედ უვლიან ჭიას. როცა კი დაამზადებენ პარკებს, ეს ქალები წავლენ და დიდის ცერემონიით უძღვნიან მათ იმპერატორს, რომელიც სამაგიეროდ აჩუქებს მათ ერთ მსუქან ცხვარს. შემდეგ ეს პარკები იყოფა სამ ნაწილად, ეძლევა იმპერატორის ცოლსა და ხასებს, რომელნიც თავიანთ ხელით ახვევენ, გრეხენ და ძახვენ ძაფს. შემდეგ სეფე-ქალები იმ ძაფს ხარშვენ, ღებვენ შავად, ყვითლად, ლურჯად, წითლად და ჰქსოვენ დროშებს და საეკულესიო სამოსელს“.

აი რა თაყვანებამდეა მისული ჩინეთში მეაბრეშუმობა! და მართლაც რამდენიმე ათასი წლის განმავლობაში მხოლოდ ჩინელს ეკუთვნოდა აბრეშუმის მონაპოლია, ინახავდა მის ხელობას ფრიად საიდუმლოდ და ჰყიდდა აბრეშემს და ფარჩეულს. გარეშე ხალხებზე ოქროზედ უფრო ძვრიად. აბრეშუმის ცნო-

ბოლ ისტორიკოსთა პარიზეს და რონდოს გამოკვლევით სჩანს, რომ ჩინელნი ოქროს ფასად და ხშირად უფრო ძვირადაც კი ჰყილდენ თურმე ძველიად თავიანთ აბრეშუმს. ჩინეთში არსებობდა წინადან სამინელი სასჯელი მისთვის, ეინც გაბედავდა და გაამხელდა მეაბრეშუმეობის საიდუმლოებას.

მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, დამატეულ-გაუმნილავი არა დარჩენილია და არა რა დარჩება. ეს ბედი ეწია ჩინეთის მეაბრეშუმობასაც. თუმც თითქმის სამი ათას წელიწადს მალეს მათ თავიანთი ძეირფასი საიდუმლო, მაგრამ ბოლოს მაინც გამოაშეარავდა და პირველ საუკუნეში ქრისტეს მასვლა-მდე მეაბრეშუმობას ეხედავთ უკვე ინდოეთში და იაპონიაში, შემდეგ ცენტრალურ აზიაში კასპიის ზღვამდე. თუმცა სპარ-სეთ-კავკასიაში უკვე დიდი ხნიდან ამზადებდენ ძაფს და ქსოვ-დენ ფარჩეულს ყვითელი ჯიშის გარეულ აბრეშუმიდან, მაგრამ ამზადებდენ, როგორც ყაჭს. აბრეშუმის ნამდვილი მოვლა-მოშენება და დამზადება ვრცელდება იქ მხოლოდ პირველ სა-უკუნეში ქრისტეს მოსვლის შემდეგ.

თუმც არც ძველმა ეგვიპტემ და არც ასურეთ-ბაბილონმა არ იცოდენ თურმე აბრეშუმის ხმარება, მაგრამ, როგორც მოგვი-თხრობენ ისტორიკოსნი, ისინი მისთანა შვენიერ ქსოვილებს ამზადებდენ ბამბიდან; რომ თავის სინაზით, ელვარებით და სი-წმინდე-პარიზის გენერალით არაფრით არ ჩამორჩებოდენ ნამდვილ ფარჩეულს.

რომაელების დიდების ლროს აბრეშუმის საფეიქრონი ურცელდება არამც თუ მარტო ინდოეთში, არამედ სპარსეთში, კავკასიაში და მცირე აზიაში. აბრეშუმის მთელი ვაჭრობა კი უვარდებათ ხელში. სპარსელებს, რომელნიც ჰყილდენ ფარ-ჩეულს ფრიად შვირად მდიდარ რომაელებზედ. თუმცა რომაელნი მეტად სცდილობდენ წაერთმიათ სპარსთატვის აბ-რეშუმის უაჭრობის მანოპოლია, მაგრამ ვერას გაზდენ. მხო-ლოდ შემდეგში სპარსთა მეტოქედ გამოტიან ურიები და ავ-

რცელებენ აბრეშუმის და კერძოდ ფარჩეულის ვაჭრობას
მთელს ევროპაში.

მეექვსე საუკუნეში ქ. შ. მეაბრეშუმობა ფრიად ჰყვავოდა
სპარსეთის ერთ პროვინციაში, სახელდობრ სერინდში (serin-
de) და სწორედ 552 წელს ორშა საბერძნეთის ბერმა ჩუმად
გაიტანეს იქიდგან აბრეშუმის თესლი. წაიღეს ბიზანტიაში
(სტამბოლში), გამოჩეკეს ჭიები და დაუწყეს მათ ზრდა შვი
ბერძნების ფოთლით. ამ რიგად ეს ბერები შეძენენ პირველი
პიონერები ევროპის მეაბრეშუმობისა. მაგრამ მეაბრეშუმობა
ბიზანტიაში ვრცელდება მეტად დუნედ. მხოლოდ მერვე საუ-
კუნეში ამ ახალ დარგს მოჰკიდეს ხელი არაბებმა. მათ თან-და
თან გაავრცელეს მეაბრეშუმობა თაყიანთ ვებერთელა იმპერია-
ში, მცირე აზიიდან, კავკასიიდან და მესოპოტამიიდან (ბალდა-
დიდან) მოკიდებული ვიდრე მავრიტანიამდე და ესპანიამდე.
შემდეგ მეაბრეშუმობა ვრცელდება მაკედონიაში და საბერძნე-
თში. ხოლო ვ-4 საუკუნის განმავლობაში (ვინაიდგან ევროპის
აზრი (სული) დამონებული ჰყავდა პაპიზმს) მეაბრეშუმობამ ვერ
ისეირა ვერც იტალიაში და ვერც საფრანგეთში. იტალიის სუ-
ლის ვალვიძების, ე-ი. რენესანსის შემდეგ მე-15-ტე საუკუნე-
ში, იტალიაში იწყება მეაბრეშუმობის აყვავება. აბრეშუმის
საფეიქროებით ივება ბრესცია, მილანი და ვენეცია (იტალიის
ქალაქები) 18-ტე საუკუნის გასულს იტალიის მეაბრეშუ-
მობა ბრწყინავს და ჰყავის შესანიშნავად.

საფრანგეთში კი 13-დან 16-ტე საუკუნემდე მეაბრეშუ-
მობას თითქმ ძინავს, თგი მილობავს საბრალოდ. ხოლო პან-
რი მეოთხის, ოლივიე და ლაფამის მეოხებით ილვიძებს იქ მე-
აბრეშუმობა და ლუი მეთოხენეტის მეფობის დროს უკვე მოჰ-
ყავთ საფრანგეთში 110,000 კილოგრამი პარკი*). 1788 წელს
მოიფანეს საფრანგეთში რა მილიონი კილოგრამი პარკი და
1853 წელს კი 26 კილოგრამი. ასე რომ ერთი საუკუნის გან-

*) ერთი კილოგრამი თითქმის $2\frac{1}{2}$ გირვანქა.

მავლობაში საფრანგეთის მეაბრეშუმობამ გადასდგა ბუმბერაზული ნაბიჯი. გადააჭარბა მთელს ევროპას, გააოცა მთელი ქვეყანა და შეიქნა ერისათვის აურაცხელ სიმღიდრის წყაროდ.

თუმც ამ საუკუნის მეორე ნახევრიდან აბრეშუმის ჭიათურიდება საშინელი სენი და მით აბრეშუმის მოყვანა ძლიერ ეცემა საფრანგეთში (მაგალ 1853 წელს მოიყვანეს 26 მილ. კილოგრამი პარკი, 1865 წელს—კი მხოლოდ 4 მილიონი; ახლა ისევ მატულოს), მაგრამ მიუხედავად ამისა საფრანგეთი, აბრეშუმის საფეიქრონი ჰყვავიან წინანდულად და მისი ფარჩეულობა ივსებს მსოფლიო ბაზრებს და აოცებს ქვეყანას. ხოლო პარკის მოყვანით კი მთელს ევროპაში პირველი ალაგი უკავია ახლა ისევ იტალიას, სადაც მოპყავთ წელიწადში 40—45 მილიონი კილოგრამი პარკი.

III.

ახლა ვიკითხოთ, თუ რაა ეს საოცარი მწერი, რომელიც ამზადებს ლამაზ პარკებს და გვმოსავს ჩვენ ძვირფასი ფარჩეულით? ეს საოცარი მწერი გახლივთ აბრეშუმის ჭიათური მეცნიერული სახელით ბომბის მორი (Bombux mori). ვის არ გინახავთ და ვინ არ იცნობთ ამ ჭიათური, რომელიც გამოდის პარტია თესლიდან შავ მატლად, სჭამს ხარბად თუთის ფოთოლს, იზრდება მალე, იცვლის ფერს და თეთრდება, იცვლის ოხაჯერ კანს და ბოლოს ადის ცახზედ, იკუმება, იხვევს ირგვლივ წმინდა, ბრწყინვალე ქსელს და ამ რიგად აკეთებს პარკს, რომელიც ჩვენთვის აბრეშუმის ძაფის მომცემია, მისათვის კი დროებითი კუბო, სადაც სძინავს საღათას ძილით ამ საოცარ ჭიათური და სადაც ბუნების საიდუმლო წესით იგი იცვლის გარე სახეს, ჰევრეტს ოცი დღის შემდეგ ამ პარკს და გამოდის თეთრ პეპელად, რომელიც არც სვამს, არც სჭამს და რომლის მიზანია მხოლოდ შეუღლდეს, დაპიროს თესლი, რომ მით გაჩნდეს შემდეგი თაობა და გვარი არ მოისპოს.

ეს საოცარი მწერი მოსტაცა თითქმ ბუნებას და მოაშინაურა ჩინელმა ქალმა სილინგ-შიმ; ამხილა თავის თანამემამულეთ მისი მოვლა-მოშენება და ძაფის დამზადება. აი ეს საოცარი მწერი შეიქნა ჩინელთათვის სიმდიდრის ერთ უუდიდეს წყაროდ, და ორა უსაბუთოდ მაღავდენ ისინი და იცავდენ მის მოვლა-მოშენებას. მაგრამ განვლეს გრიგალივით ათასმა წლებმა ულმობელმა დრომ ახალა მასაც საიტუმლოების ფარდა, გახადა იგი საყოველთაო კუთვნილებად და დღეს მთელი ქვეყანა სარგებლობს მით.

როგორც უკვე ვთქვით აბრეშუმის ჭია თავდაპირველად იყო მხოლოდ ორი ჯიშის: ა) თეთრ ჰარგიანი ჩინეთისა და ბ) უვითელ ჰარგიანი გაგვასია-სპასეთისა, ამ ორ მთავარ ჯიშიდან წარმოიშვენ დღემდე აურაცხელი ჯიში, მაგ., ჩინეთის, იაპონიის, ინდოეთის, ბალდაღის საქართველოს, სირიის, იტალიის, საფრანგეთის და სხ. რომელთა პარკები განირჩევიან როგორც ფერით, ეგრეთვე სიღილით, სიმტკიცით, სიმაგრით და ძაფის თვისებით. განირჩევა ეგრეთვე აბრეშუმის ჭიის ორგვარი ჯიში: ა) ჭლიური, რომელიც წელიწალში მხოლოდ ერთხელ იჩეკება და ბ) თვიური, რომელიც წელიწალში ორჯელ გამოდის.

მაგრამ გარდა ამ თუთის აბრეშუმისა არის კიდევ სხვა მრავალი აბრეშუმის ჭია, შინაური თუ გარეული, რომელნიც იკვებებიან: ზოგი მუხის ფოთლით, მაგ. ბომბიქს იამა-მაი (Bombyx iama-mai) და ბომბიქს პერნი (Bombyx pernyi), ზოგი ქლიავის ფოთლით, მაგ. ბომბიქს ცეკრია (Bombyx cecropia), ზოგი უუფუბიერით (Jujuvier) მაგ., ბომბიქს მილიტა (Bombyx militta), ზოგი ელანტით (I'ailante) მაგ. ბომბიქს ცინტია (Bombyx cynthia) და სხ. მაგრამ ყველაზედ მეტს ინტერესს წარმოადგენს ჩვენთვის ბომბიქს მორი: ე. ი. თუთის აბრეშუმის ჭია, რომელიც ყველაზედ მეტად გავრცელებულია და რომელიც იძლევა საყოველთაოდ ყოველ წლობით საშუალოდ 273 მილიონ კილოგრამ პარკს ანუ 19 მი-

ლიონ კილოგრამ ძაფს, რაიცა ღირს 700,750 მილიონ ფრან-
კად*] (ესე იგი 262-280 მილიონ მანეთად). მაშინ როდესაც
თუთის გარეული აბრეშუმის ჭია და ეგრეთვე სხვა ხეთა ფო-
თლის მჭამელი აბრეშუმის ჭიები, რომელნიც მოჰყავთ. მხო-
ლოდ აზიაში (ჩინეთში, იაპონიაში და ინდოეთში) იძლევიან
მხოლოდ შე მილიონ კილოგრამ პარკს, ანუ ორ მილიონ კი-
ლოგრამ ძაფს (შულოს). ასე რომ მთელ ქვეყანაზედ სულ ერ-
თიან მოჰყავთ საშუალოდ 307—308 მილიონი კილოგრამი პარ-
კი, ანუ 21 მილიონი და ასი ათასი კილოგრამი აბრეშუმის ძაფი.

არ იქნება ურიგო განვიხილოთ, თუ რაოდენი თუთის
აბრეშუმი მოჰყავთ სხვა-და-სხვა ქალაქებში. ამ შემთხვევაში
პირველი ალაგო უკავია ისევ აზიას, შემდეგ ფრანგის და სულ-
ბოლოს აფრიკას და ამერიკას.

საფრანგეთის გამოჩენილ სპეციალისტის ნატალი რონ-
დოს***) ანგარიშით მოჰყავთ:

	პარკი (კილოგრამი)	ძაფი (კილოგრამი)
აზიაში . . .	216.600.000.	14.772.000.
ევროპაში . . .	55.710.000.	4.059.000.
აფრიკაში . . .	100.000.	7.000.
ამერიკაში . . .	36.000.	2.000.
ს უ ლ	272.446.000.	18.840.000.

ახლა, რომ ეს რიცხვი გავანაწილოთ ხალხებზედ, ვნახავთ:

ა ზ ი ა შ ი

	პარკი (კილოგრამი)	ძაფი (კილოგრამი)
ჩინეთი	130.000.000.	9.300.000.

*) ერთი ფრანკი უდრის დღევანდელ კურსით $37\frac{1}{2}$ კაპეიკს.

**) „L'atr de la soie“ par Natalis Rondot, 2 ტომ. 1887 წ. Paris.

იაპონია . . .	42.400.000.	2.650.000.
ინდო-ჩინეთში . .	12.000.000.	750.000.
ინდოეთი . . .	10.000.000.	600.000.
ცენტრალული აზია (სადაც არ შედის რუ- სეთის თურქეთსანი).	5.500.000.	300.000.
რუსეთის სამფლობე- ლონი აზიაში . .	5.200.000.	330.000.
თათრის სამფლობე- ლონი აზიაში . .	5.000.000.	340.000.
სპარსეთი . . .	4.500.000.	300.000.
კორეა . . .	200.000.	10.000.
ს უ ლ 214.800.000.		14.640.000. *)

თ ვ რ ი ვ ა ზ ი.

შარკი (კილოგრამი), ძაფი (კილოგრამი).

იტალია . . .	42.000.000.	3.000.000.
საფრანგეთი . .	9.500.000.	750.000.
ავსტრო-უნგრეთი.	2.160.000.	154.000.
ევროპის სათათოეთი	1.500.000.	110.000.
ესპანია . . .	1.300.000,	105,000.
საბერძნეთი . .	300.000.	22.000.
პორტუგალია	250.000.	16.000..
შვეიცარია . . .	210.000.	15.000.
რუმინია, ბულგარეა და სხ.	170.000.	10.000.
ევროპის რუსეთი . .	120.000.	9.000.
ს უ ლ 57.510.000.		4.191.000. **)

*) N. Rondot: „L' art de la soie“ 1887.

**) იქვე.

გარდა ამისა თუთის გარეულ აბრეშუმის ჭიიღან და სხვა
ხეთა ფოთლის მჭამელ აბრეშუმის ჭიებიღან მოჰყავთ:

პარკი (კილოგრამი). ძაფი (კილოტონი).

ჩინეთში	23.160.000.	1.386.000.
ინდოეთში	11.700.000.	700.000.
იაპონიაში	180.000.	12.000.
ს უ ლ	35.040.000.	2.098.000.



რაც შეეხება იმ რიცხვს, თუ რამდენი აბრეშუმი მოდის
კავკასიაში და კერძოდ საქართველოში, ამისათვის სამწუხაროდ
ჩვენ ხელთ არა გვაძვს აქ სტატისტიკური ცნობანი და თუ ვერ-
წმენებით პ. პარიზეს ცნობებს, გამოდის, რომ კავკასიაში ე. ი. საქა-
ველოში და ერთ ნაწილ სომხეთში მოჰყავთ წელიწადში ერთი მი-
ლიონი კილოგრამი ქაფი, ანუ თითქმის 15 მილიონი კილოგრამი
(ჰარკი) ეს რიცხვი ჩვენ მიგვაჩნია გადაჭარბებულად). ცნობილი
მეცნიერის მაიოს (Maillot) აზრით კავკასიაში მოჰყავთ 15 მილი-
ონი და 750 ათასი კილოგრამი ჰარკი (ეს რიცხვი ხომ კიდევ უფ-
რო გადაჭარბებულია). ნატალი რონდოს აზრით კი კავკასიაში
მოჰყავთ ყოველ წლის სუთი მილიონი კილოგრამი ჰარკი ანუ
330000 კილოგრამი ქაფი, ე. ი. სამჯერ უფრო ნაკლები; ვინემ
პარიზეს ცნობანი. უმჯობესია ამ ორ უკიდურესობიდან ავილოთ-
საშუალო რიცხვი, რაიცა იზამს ათ მილიონ კილოგრამ ჰარკის
ანუ 650.000 კილოგრამ ქაფი; ეს რომ უულათ ვიანგარიშოთ
მსოფლიო ბაზრის ფასით გამოდის, რომ კავკასიაში მოუყვანი-
ათ თითქმის 26 მილიონ ფრანკის ანუ 10 მილიონ ქანეთის სა-
დარალი აბრეშუმი. ეს რიცხვი რომ შუაზედ ვავყოთ მარტო
საქართველოს ხვდება ხუთი მილიონის აბრეშუმი: ამ რიგად გა-

მოდის, რომ მეაბრეშუმობა უეალგენს ჩვენში მეურნეობის ერთ უმთავრესს დარგს და აძლევს ხალხს ნივთიერ წარმატებას. მაგრამ ფრიად სამწუხაროდ, თუმც უკვე დაარსდენ ჩვენში ამხანაგობანი, რომელნიც ებრძვიან ჩარჩებს და ყოველგვარ ექსპლოატაციას, მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც ვერ ვსარგებლობთ ჩვენის სიმღიღრით და ვჰკარგავთ მას ნახევარ და მესამედ ფასად. აი მაგალითად: ზევით ვთქვით, რომ კავკასიაში მოჭყავთ 650.000 კილოგრამი აბრეშუმის ძაფი ანუ 40.625 ფუთი. ამის ნახევარი რომ საქართველოს მიესკრეთ; გამოდის 20.312¹, ფუთი ძაფი, ლირებული მსოფლიო ბაზარზედ 5 მილიონ მანეთად, ე. ი. გირვანქა აბრეშუმი ლირებული საშუალო რიცხვით ექვს მანეთად, მაშინ როდესაც ჩვენში ნამდვილად კი ჰყიდიან გირვანქა შულო აბრეშუმს ექვს აბაზად, რვა აბაზად. ორ მანეთად და ძლიერ იშვიათად გაიყიდება სამ მანეთად; ამ რიგად საშუალო რეცხვით ჩვენში გაყიდული გირვანქა აბრეშუმი ორ მანეთად, ნამდვილად კი იგი ლირს ექვს მანეთად; ასე რომ სწორედ მესამედ ფასად დაგვიკარგავს ჩვენი აბრეშუმი. ანუ ხუთი მილიონის საღირალი აბრეშუმი გავვიყიდია ერთ მილიონად და 666 ათას მანეთად და ამ რიგად დაგვიკარგავს ყოველ წლობით სამი მილიონი და 334 ათასი მანეთი:

ახლა ვიანგარიშოთ პარკად. საქართველოში მოსული 10 მილიონის ნახევარი, ანუ 5 მილიონი კილოგრამი ე. ი. 12 მილიონი გირვანქა პარკი, ლირებული ხუთ მილიონ მანეთად. გირვანქა პარკი ლირებული მსოფლიო ბაზარზედ ორ-ჩაზად:^{*)} ჩვენ კი ხშირ და ჰყიდით გირვანქა პარკს აბაზად, ხუთ შაურად და იშვიათად ექვს შაურად, საშუალო რიცხვით გირვანქა პარკი გაგვიყიდია ხუთ შაურად და ამ რიგად ყოველ გირვანქაში დაგვიკარგავს სამი შაურა, ანუ 12 მილიონზე გირვანქაზე ერთი მილიონი და რვაასი ათასი მანეთი, რომელს მის მი-

^{*)} დღეს საფრანგეთში გირვანქა ხმელი პარკი იყიდება 1 მ. და 50 კ. მაშ გირვანქა ნედლი პარკი ლირებულა ათ შა უნკად.

ლიონი. აი რა ზიანს გვიშვრება ჩვენი უმეცრება და მსოფლიო
პაზრის ფასების და მოთხოვნილებათა არ ცოდნა! ჩვენი საბ-
რალო მეაბრეშუმე შრომობს დღე და ღამ, ნახევარსა და ორ
წილს მის სიმდიდრეს კი სწუჭნიან წურბელა ჩარჩები და უც-
ხოელი ვაჭრები. მიუხედავად ამისა ამ ზერე რიცხვებმა ნათ-
ლად დაგვიმტკიცეს, რომ პარკად გაყიდვა ბევრად უფრო სა-
ხეირო ყოფილა, ვინემ შულო ძაფად; და მართლაც ხალხი ამ
ბოლო დროს ეტანება უფრო პარკად გაყიდოს თავის არე-
შუმი. ეს ფაქტიც ფრიად სამწუხაროა; იგი გვიმტკიცებს ჩვენი
ტეხნიკის და აბრეშუმის სახვევ მანქანების (ფილატიურის) უ-
ვარგისობას

IV

დაფუბრუნდეთ ისევ პირველ საგანს, რომ მივიღოთ მხედ-
ველობაში თუ სად რამდენი აბრეშუმი მოდის, ჩვენ შეგვიძლია
იმ ქვეყნებს მივსცეთ ქვემო რე სიაში შემდეგი ალაგი;

აბრეშუმის მაფი (კილოგრამი).

ჩინეთი	.	.	.	10.686.000
იტალია	,	,	,	3.000.000
იაპონია	.	.	.	2.662.000
ინდოეთი	.	.	.	1.300.000
ინდო-ჩინეთი	.	.	.	750.000
საფრანგეთი.	.	.	.	750.000
სათათრეთ-საბერძნეთი.	.	.	.	472.000
ცენტრალური აზია	:	:	:	360.000.
რუსეთის აზია (კავკასია)	:	:	:	330.000

ს უ ლ 20.310.000*)

*) იხ. L. Vignon: „La soie au point de vue scientifique et industriel“ 1890 p. 1341.

ნატალი ორანდოს ანგარიშით 55°, მთელი აზის აბრე-
შუმისა შემოაქვთ ევროპაში ძაფად და ცოტა პარკადაც; აქ
იშვისოვება ფარჩეულებად და იგზავნება მთელ ქვეყანაზედ. მას-
თან საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ევროპაში აბრეშუმის მოყ-
ვანა თან და თან მატულობს, აზიაში კი კლებულობს, მაგ.,
საფრანგეთში ამ 30 წლის წინად მოპყავდათ 270 ათასი კი-
ლოგრამი აბრეშუმი (ძაფი), ახლა კი მოპყავთ 800 ათასზედ
მეტი. იტალიაში მოპყავდათ $2\frac{1}{2}$, მილიონი კილოგრამი, ახლა
კი მოპყავთ $3\frac{1}{2}$, მილიონზედ მეტი. ავსტრო-უნგრეთში მოპ-
ყავდათ 100 ათასი კილოგრამი, ახლა კი მოპყავთ 300 ათას-
ზედ მეტი და სხ. აზიაში კი იმავე დროს აბრეშუმის მოსავალს
ძლიერ უკლია. მაგ., ინდოეთში მოპყავდათ 2 მილიონი კი-
ლოგრამი აბრეშუმი, ახლა კი მხოლოდ 600 ათასი, ცენტრა-
ლურ აზიაში მოპყავდათ ნახევარი მილიონი კილოგრამი ახლა
კი მხოლოდ 300 ათასი, სპარსეთში მოპყავდათ 2 მილიონი
კილოგრამი, ახლა კი 300 ათასი, სათათრეთში მოპყავდათ 800
ათასი კილოგრამი, ახლა კი 350 ათასი. კავკასიაში სულ წი-
ნად მოპყავდათ თურმე ერთი მილიონი კილოგრამი, შემდეგ
მხოლოდ 300 ათასი, ახლა ისევ შესამჩნევად მატულობს.

ეს მოვლენა აიხსნება მრავალ მიზეზებით, უმეტესად კი
აბრეშუმის ჭიის სენის (პეტრინის) გაჩენის გამო. ამ სენმა
მთელს ევროპას მოუტანა აურაცხელი ზარალი და კერძოდ
საფრანგეთში დასცა აბრეშუმის მოყვანა თითქმის ხუთჯერ,
მაგ., 1854 წელს მოიყვანეს 1.400.000 კილოგრამი ძაფი,
1865 წელს კი მხოლოდ 270.000 კილოგრამი. საფრანგეთის
მეცნიერის დიდებულ პასტერის გამოკვლევამ და მის მეთოდით
სალი თესლის გადარჩევამ ძლიერ შეამცირა ევროპაში ის სა-
შინელი სენი და კვლავ გააცხოველა ევროპის მეაბრეშუმობა.
აზიაში კი ეს ასე არ მოხდა. ხალხის უმეცრებამ და ჩარჩების
ვიწრო სიხარბემ და ანგართ-მოყვარებაშ გაავრცელეს აზიაში
სნეული თესლი და მოსდევს ყველგან აბრეშუმის ჭირი, რითაც

მოუტანეს მშრომელ ხალხს უსაზღვრო ზარალი. ჩვენი კავკა-
სიაც და კერძოდ საქართველო შეიქნა მსხვერპლი ამ ჩარჩოთა
ვერაგობისა. და თუმც არსებობს ჩვენში ეგრედ წოდებული
სააბრეშუმზ სადგური ბ. შავროვის მეთაურობით, მაგრამ სამშუ-
ხაროლ არამც თუ იხსნა ამ სადგურმა ხალხი ჩარჩოთაგან, პირ-
იქით თითონ თავის სნეული თესლის გაყიდვით და გავრცელე-
ბით შეიქნა უმთავრესი წყარფ ხალხის უბედურებისა, მიუხე-
დავად იმისა, რომ აქვთ მრავალი მიკროსკოპები, ირიცხებიან
მცოდნედ და მთავრობისაგან ეძლევათ ათი და ასი ათასი მა-
ნეთის სუბსიდია.. საბედნიეროდ ამ ბოლო დროს დაარსდენ
ჩვენში მეაბრეშუმეთა ამხანაგობანი, რომელნიც ცდილობენ
ებრძოლონ ჩარჩებს, მისცენ სალხს სალი თესლი და ასწიონ
პარკის და აბრეშუმის ფასი. ამ მოკლე ხანში ამხანაგობებმა
რამოდენიმედ მიაღწიეს თავიანთ მიზანს: ასწიეს პარკის და აბ-
რეშუმის ფასები, დაურიგეს ხალხს სალი თესლი, და ამ რიგად
გაამხნევეს ხალხი და გაავრცელეს აბრეშუმის მოყვანა. ეს მო-
კლენა ფრიიად საამოა და საგულისხმო. სასურველია ძლიერ,
რომ მთავრობამ და ჩვენმა საზოგადოებამ მიაქციონ ამ ამხანა-
გობათ შესაფერი ყურადღება და შეეწიონ ზნეობრივ და ნივ-
თიერად, შეუწყონ ხელი მათ გამრავლებას, ვინაიდგან მათი
მოქმედება მიმართულია ხალხის ეკონომიკურად ასამაღლებლად
და საბედნიეროდ, რაიც უნდა შეადგენდეს თვით მთავრობის
და ინტელეგენციის ინტერესს.

აქვე საჭიროა შევნიშნოთ ერთი საგულისხმო მოკლენა,
ე. ი. აბრეშუმის ფასის დაცემა მსოფლიო ბაზარზედ. რომ არ
მივიღოთ მხედველობაში ძველი ხანა, როცა ჩინეთის აბრეშუმი
იყიდებოდა, ოქროს ფასად და ავილოთ მხოლოდ მეცხრამეტე
საუკუნე, ვნახავთ, რომ მსოფლიო ბაზარზედ 17 წლის განმავ-
ლობაში აბრეშუმის ფასი დაცემულია $50 - 62\%$ -დე. აი მაგალითი:

	1868 წ. ლირებულა.	1885 წ. კი	ფასი დაცე- მულა.
ერთი კილოგრამი.			
საფრანგეთის ორგანსენი (ქსელის ძაფი) . . .	152 ¹ ₂ ფრ.	61 ¹ ₂ ფრ.	60 ⁰ ₀
იტალიის ორგანსენი .	138	" 61	5.6 ⁰ ₀
საფრანგეთის ტრამის ძაფი (ჩასაქსოვი). . . .	138	" 58	58 ⁰ ₀
იტალიის ტრამის ძაფი .	124 ¹ ₂ "	57	58 ⁰ ₀
საფრანგეთის შულო აბრეშ.	132 ¹ ₂ "	56	58 ⁰ ₀
ჩინეთის " "	73 ¹ ₂ "	37	50 ⁰ ₀
იაპონიის " "	103 ¹ ₂ "	39 ¹ ₂ "	62 ⁰ ₀ *)


აი კიდევ უნობანი, რომელიც გამოაქვეყნა ლიონის მე-
აბრეშუმეთა სინდიკატმა**))

ერთი კილოგრამი სხვა და სხვა გვარი აბრეშუმი	1876 წ.	1880 წ.	1884 წ.	1888 წ.
ორგანსენი (ქსელის ძაფი).	ფრანკი.	ფრანკი.	ფრანკი.	ფრანკი.
საფრანგეთის	115—125	69—71	63—65	60—62
პიეშონტის	113—118	68—70	62—64	62—64
იტალიის	102—110	62—64	56—58	57—59
ტრამის ძაფი				
იტალიის	100—108	60—62	55—57	56—58
ჩინეთის	76	83	51—53	45—47
გრევი				
იტალიის	100—105	53—58	50—52	48—50
ჩინეთის (კატ-ლის) . .	71—73	41—42	37—38	40—41
ჩინეთის (კალინგის) . .	57—62	34—37	32—35	34—36
ჩინეთის (კანტონის) . .	100—110	50—51	41—42	44—45
იაპონიის	100—110	55—57	51—53	50—51

*) n. L. Vignon „La soie au point de vne scientifique et in-
dustriel“ 1890 p. 345—346.

**) „Bulletin des soies et de soieries“. Lyon.

ეს სტატისტიკური ცნობანი გვამხელენ, რომ 1876 წლიდან 1880 წლამდე აბრეშუმის ფასი საერთოდ დაცემული 40—50% -მე; *) 1880-დან 1884-მდე მხოლოდ 4—10% -დე. 1888-ში კი პირ-იქით ფასებს თითქო აუზევია, მაგრამ აიწია მხოლოდ შედარებით იმ ქვეყნებში, სადაც ფილატიური უფრო განვითარდა და მით ძაფის ღირსება გაუმჯობესდა, რის გამო, ეჭვი არაა მოემატა ფასიც; ეს მოხდა მაგ., ჩინეთსა და იტალიაში. პირ-იქით საფრანგეთის და იაპონიის აბრეშუმი კიდევ დაწეული ფასებში 3—4% -დე. ეს რიცხვები აშკარად გვიმტკიცებენ აბრეშუმის ფასის თან და თან დაცებას მსოფლიო ბაზარზედ.



V

ახლა ვიკითხოთ, თუ რისგან შესდგება მეაბრეშუმობა. იგი იყოფა ორ დიდ ჯგუფად: 1) აბრეშუმის მოუკანა და დამზადება, ე. ი. თესლის მომზადება. და შენახვა, გამოჩევა, ჭიათურა და მოვლა, პარკის გასმობა და ძაფის ამოსვევა, ანუ ფილატიური. 2) აბრეშუმის ინდუსტრია, ე. ი. მულინაჟი ანუ ძაფის დართვა-დაგრეხა, ტეიბრური, ანუ ძაფის გამოხარშეა და შეღება, ტისსაჟი ანუ ფარჩეულის ქსოვა. თვით ტისსაჟი ისე გართულდა ამ ბოლო დროს, რომ იყოფა რამდენიმე ნაწილად, მაგ., დევიდჩური, კანეტაჟი, უდრისაჟი, შლიდაჟი, ტისსაჟი, ფინისაჟი, აშრეტი, სახეკბის შედეგება დამზადება და სხ. განვიხილოთ ცოტა ახლოს პირველი ჯგუფი:

*) ეს მოვლენა აიხსნება მით, რომ წინეთ, როცა ჭიას სენი გაუჩნდა და მოსავალი შემცირდა, აბრეშუმის ფასმა ძლიერ აიწია; როდესაც პასტერის გენიოსურმა მოგონებამ კვლავ აღადგინა დაცემული მეაბრეშუმობა და კვლავ მოიყვანეს ისევ უხვად, აბრეშუმის ფასიც ამის მიხედვით სუმჩჩვად დაეცა და დავიდა წინანდელ დონეზედ. ავტორი:

1) აბრეშუმის თესლის მომზადება და შენახვა, უწინდელ დროში საყოველთაოდ, ახლა კი მხოლოდ აზიაში, აბრეშუმის პეპლებს აღებინებენ თესლს ქალალდზე ან ჭინჭიზე, ახვევენ ერთად და ინახვენ საღმე ოთახის კუთხეში ან ყუთში. ისინი არ იკვლევენ მას სნეულ პეპლებისაა ეს თესლი თუ საღის, ან რა გვარი ჰავა, სითბო-სიცივე და სინესტე ეჭირვება თესლის შენახვას. ამაების არ ცოდნაშ მოსდვა ქვეყანას აბრეშუმის ჭირი, აგრეთვე მეტის სითბო-სიცივით ან მეტის სინესტით უფრ-ჭდებათ თესლი. ამგვარი მოვლენა ერთობ ხშირია. ამას მია-ჭირეს ჯეროვანი ყურადღება ევროპის შეგნებულმა ერებმა და დაარსეს საზოგადოებანი, ამხანაგობანი, სააბრეშუმო სადგურები და ლაბორატორიები, რომელთა მიზანია სხვათა შორის დამზადონ აბრეშუმის საღი თესლი და შეინახონ იგი გაზაფ-ხულამდე შესაფერ ალაგას. ამ დაწესებულებათა მეთაურებად არიან შცოდნე პირნი, რომელნიც პასტერის მეთოდით მიკრო-სკოპით იკვერევენ ან პეპლების წრბოლს ან პირ-და-პირ თესლს, და ტყობილობენ სნეულია იგი თუ საღი.*) სნეულს სპობენ და საღს იგროვებენ კოლოფებში. ამგვარ გაღარჩეულ თესლს ჰქვია ცელულიარები თესლი. თესლის შემნახველი ჰავა არ უნდა იყვეს არც მეტად ნესტიანი, რომ არ გაუჩნდეს თესლს ობი და არ წახდეს, არ უნდა იყვეს არც ხმელი, რომ არ გა-მოშრეს თესლი, არც თბილი, რომ არ გამოიჩეკოს უდროვოდ. და არც ძლიერ ცივი, რომ არ დაიხოცოს შთანასახი. თესლის შესანახად საუკეთესოდ ითვლება ოდნავ მშრალი და გრილი

*) ამისათვის სათესლე პეპლებს სმენ ცალ-ცალკე მარმაში პაწია ტომისკებში და აკრავენ თავს. პეპლა დებს კვერცხებს და კვდება. აიღ-ბენ ამ პეპლებს ცალ-ცალკე, გასრესენ წყალში თიხის ქვიჯაში, დააწვე-თებენ ორ-სამ ალაგს მათ წვენს და შინჯვენ მიკროსკოპით. თუ საღი აღ-მოჩნდა, მის თესლს ინახვენ და თუ სნეულია, თესლს სპობენ. სნეულ პე-პელას წრბოლში მოჩანს (მიკროსკოპში) ხშირად აურაცხელი პაწია წოწო-ლა მჯირვალე სხეულები, რომელნიც წაგავან ჭიინჭველას კვერცხებს (ფორმით). ეს კი იმის კიშანთა, რომ პეპლა შეპყრობილია (და მასთან მისი თესლიც) საშინელი სენი, პეპლი და ბრინი.

მთის ჰავა და მართლაც ამ გვარ ალაგებში საფრანგეთში უკვე
არის დაარსებული თესლის შესანახი ოთახები ანუ საღგურები
(les chambres d'hibernation) მაგ., არღები. იტალიაში ამ
მხრივ განვაჭარბა საფრანგეთს და თესლის შესანახი საღგურე-
ბი მოწყო საშრობ-საგრილებელ მანქანებით (machines frigo-
rifiqüides), რის გამო ფრიად კარგად ინახება თესლი.

2) თესლის გამოჩევა. რაც შეეხება თესლის გამოჩევას
ესეც ითხოვს საჭირო ცოდნას. ერთი რომ. თესლის გამოჩევა
უნდა შეეხამოს თუთის ფოთლის გაშლას, რათა მით ჭია-
ჭქონდეს საზრდო; მეორე—თესლის გამოჩევა უნდა იყვეს ნო-
რმალური, ე. ი რაც შეიძლება თანასწორი. ეს გამოჩევა უნდა
გათავდეს ორ-სამ დღეში მაინც, რომ მით ერთი მეორეს ძლი-
ერ არ ჩამორჩენ ჭიები, რაიცა ართულებს მოვლის და აფერ-
ხებს საქმეს. თუ კი გვსურს, რომ თესლი თანასწორად გამოი-
ჩეოს, იგი უნდა გავაჩეროთ ან თბილ ოთახში ან წყლით
სათბობ ყუთებში, რომელთაც ეწოდება ინკუბატორი ანუ კას-
ტელ (castelet). ჩინეთში კაი ხანია არსებობს თესლის საჩეკი
თბილი ოთახები; საფრანგეთში თლივის ღროს გამოსაჩეკ
თესლს ატარებდენ ქალები უბით და ათბობდენ თავის სხეუ-
ლით. შემდეგ თესლს დაუწყეს თბიბა ფურნეებში და ბოლოს
მხოლოდ აბბატ სოვაუს მოუვიდა აზრად აღერაცხა თესლის სა-
ჩეკად საჭირო სითბო და სწორედ ამ ღროიდან, როგორც სა-
ფრანგეთში, ისე დანარჩენ ევროპაში იმართება თესლის საჩეკი
თბილი ოთახები და კასტელები. თესლის საჩეკი ტემპერატურა
დანდოლოს აჰყავს ერთი გრადუსიდან ყოველ დღე თითო გრა-
დუსით ვიღრე 22 გრადუსამდე რეომიურის თერმომეტრთ.
ჰაბერლანდტს კი სითბო აჰყავს ერთბაშად ნ. გრადუსამდე, აჩე-
რებს 8 დღეს, შემდეგ აჰყავს 8 გრადუსამდე და აჩერებს კი-
დევ 8 დღეს, შემდეგ 10°-დე და აჩერებს 4 დღეს; მერე 12°-
დე და აჩერებს ისევ 4 დღეს, მის მერე ორ დღეს 16°-დე ორ
დღეს 18°-დე და ორ დღეს 20°-დე, ისე რომ 30. დღის შემ-

დეგ თესლი თითქმის ერთბაშად იჩეკება. ეგრეთვე საჭიროა ვიცოდეთ, რომ გამოსაჩეკი თესლი უნდა იყვეს რაც შეიძლება თხლად მობნეული ქაღალდზე, რომ ჭიები გამოიჩეკონ თანასწორად, ერთი მეორე არ შეაწუხონ და აღვილად ისუნთქონ. დრო გამოშვებით თესლი უნდა აირივ-დაირიოს. ერთგრამ თესლში ირიცხება 1200—2000-დე კვერცხი (თესლი) (იმის მიხედვით თუ რა ჯიშისაა) ანუ ერთ მისხალში 5000—8000-დე.

3) ჭიის ადგინდა და მოვლა. ჩვენ აქ არა გვაქვს დრო და ალაგი შევჩერდეთ ამ საგანზედ და განვიხილოთ იგი ვრცლად; ვიტყვით მხოლოდ მოკლედ: ერთად ერთი საუკეთესო საზრდო შინაურ აბრეშუმის ჭიისა არის თუთის ფოთოლი. არას დროს ეს ფოთოლი სოვლად არ უნდა მიეცეს ჭიას; იგი უნდა იყვეს მშრალი; საკმაოდ ახალი (ერთი-ორი დღისა), არას დროს კი ძველი და გამხმარი. ეგრეთვე არც ახლად მოკრეფილი ფოთოლი უნდა მიეცეს ჭიებს; ერთი-ორი დღე მაინც უნდა გააჩეროთ, გააშროთ, მისცეთ ოთახის სითბო და ისე დაურიგოთ. მესამე კანის გამოცვლამდე ჭიებს ფოთოლი უნდა მიეცეს და-ჭრილი; შემდეგ კი მთელი. მასთან საზრდო უნდა მიეცეს: ბლომად, ხშირად და თანაბრად. თან ბუღნაც უნდა ეცვალოს მალ-მალ. აბრეშუმის ჭიას მეტად სძაგს უწმინდურება, ამიტომ როგორც ოთახი, ეგრეთვე ლოგინი უნდა იყვეს სუფთა. თანაც ერთად უნდა იზრდებოდენ მხოლოდ ერთი ხნის ე. ი. ერთად გამოჩეკილი ჭიები და არა სხვა-და-სხვა ხნისანი; მასთან ისინი არ უნდა იყოს მჭიდროდ დაყრილნი, თან თემპერატურაც უნდა ჰქონდეთ თანატოლი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აბრეშუმის ჭიას არ უყვარს არც ცივი ტაროსი და არც სიცხე; ხშირი წვიმები და ელვა-ქუხილი ხომ მისი დამლუპველია! მის ნეტარებას შეადგენს თბილი ჰავა და კარგი დარები. დღეს ევროპაში აბრეშუმის ჭიის საზრიანი აღზრდისათვის არსებობს სპეციალური შენობანი ანუ მანიანერები (magnanerie) სხვა-და

სხვა სისტემისა; მაგ. სისტემანი სევენესი, დანდოლოსი, დარსები და სხ., რომელნიც დაყოფილია ფიცრებით საროულებად, შიგვეა პერის საწმენდი ვენტილიატორები და სათბობი ბუხრები. ჭიის ლოგინად კი ხმარობენ დახვრეტილ ქაღალდებს.

აბრეშუმის ჭიის სინეულებანი. აბრეშუმის ჭიის უმთავრეს სენებად ითვლიერიან: მუსკარდინა, პებრინი, ფლაშენი და გრასენი.

ა) მუსკარდინი (la muscardine) ჭიის უძველესი სენია. პირველად იგი აღმოაჩინა ვალისნერიმ 1725 წელს. ამ სენით შეპყრობილი ჭია უეცრივ კვდება. თუმც გარეგნობით არ ეტყობა, მაგრამ დამკვირე თვალი აქაც შეატყობს, რომ მუსკარდინიანი ჭია ზანტდება და ეძლევა ოდნავ ვარდის ფერი. 1835 წელს დოქტორ ბასიმ ახსნა, რომ მუსკარდინი წარმოსდგება ერთგვარ თვალთ-უხალავ (მიკროსკოპიულ) სოკოდან, რომელსაც უწოდა ბოტრიტის ბასტიანა (Botritis bastiana). ამ სენით სათვის არავითარი წამალი არაა მოგონილი. ხოლო ამ სენით შეპყრობილ ჭიებს განაშორებენ ოთახებში მყოფ სხვა ჭიებისაგან, დაუკეტენ კარებს, დაუცობენ ყოველ ჭიჭიტანას, რომ გოგირდის გაზი არ გავიდეს ოთახიდან და უხრჩოლებენ ბლომად რამდენჯერმე გოგირდს, რომ მით ამოხოცონ სნეული ჭიები და მასთან მოსპონ ის სენიც, რათა აღარ გადვიდეს სხვებზედ ან არ გაჩნდეს ხელმეორედ. მემკვიდრეობით ეს სენი არ გადადის, რაღვან მით შეპყრობილი ჭია კვდება ან პარკის გაკეთებამდე ან პარკშივე და არას დროს პეპლად არ იქცევა.

ბ) პებრინი (la pêbrine). ეს საშინელი სენი პირველად აღმოაჩინა მენევილმა 1849 წელს. ამ სენით შეპყრობილი ჭია აღარ იზრდება, რამდენიმე დღის შემდეგ მისი კანი ფორაჯდება გარედან შავად, შიგნით სხეულში კი უჩნდება აურაცხელი მიკროსკოპიული წოწოლა სხეულები. ბევრი ჭია ამ რიგად იხოცება, ბევრიც კი აკეთებს პარკს (თუ ჭია დასრულებულია). ამ რიგად ეს საშინელი სენი გადადის მემკვიდრეობით, ე. ი. თესლით, რის გამო საშინელი სისწრაფით მოედვა მთელს ჭვე-

ყანას და მისცა აურაცხელი ზარალი. მარტო ერთ საფრანგეთში პეტრინმა დასცა პარკის მოსავალი 26 მილიონ კილოგრამიდან 4 მილიონამდე. აურაცხელი მწარმოებელნი ჩაყარა გაჭირვებაში და სასოწარკვეთილებაში, მაგრამ აღამიანის გენიოსობამ და მეცნიერებამ ამასაც უპოვეს საშვალება. ეს ქებული მეცნიერი გახლდათ უკვდავი ჰასტერი. მან 1865—1869 წლებში ვამოიკვლია და შეისწავლა ეს საშინელი სენი და აღმოაჩინა საშუალება, რითაც იხსნა დალუბვისაგან მსოფლიო მეაბრეშუმობა. პასტერმა ნახა, რომ პეტრინიან ჭიაში, ეგრეთვე თესლში და პეპლებში იმყოფება თვალთ-უხილევი წოწოლა სხეულნი, ანუ მიკრობები, რომელნიც აჩენენ აშ სენს, ამიტომ, თუ ჩვენ მიკროსკოპით ვავსინჯავო სათესლე პეპლების წრბოლს ან თვით თესლს, აღვილად შევნიშნავთ იმ მიკრობებს. ამ რიგად სნეულ პეპლებსა და თესლს მოვსპობთ, სალს კი შევინახავთ, მასთან იმ სადგურებს, სადაც ჭიას გაუჩნდა პეტრინი, რამდენჯერმე ვუკმევთ გოგირდს, გავასუფთავებთ და მით არამც თუ შეეამცირებთ ამ საშინელ სენს, არამც ერთიანად ვიხსნით მისგან თავს. აი ეს დიდებული პრინციპი, ეს მაღალი აზრი დაედვა საფუძვლად პეტრინთან ბრძოლას! მართლაც დღეს ამის შემწეობით ევროპამ და კერძოდ საფრანგეთმა კვლავ გაშალეს ფრთხები და გაავრცელეს მეაბრეშუმობა.

გ) ფლაშერი (la flacherie). ეს სენიც საკმაო ზარალს იძლევა მეაბრეშუმობაში; იგი ხშირად უჩნდება ჭიას, როცა ცახზედაა ასული და ჰკლავს ან ზედვე ან პარკში. ამ რიგად ჭია ვერ ჰქმნის შთამომავლობას და სენი ვერ გადადის მემკვიდრეობით. ხშირად ეს სენი ისე ვრცელდება, რომ ერთ დღეს 1 ჰობს მთელი ოთახის ჭიებს. ამ სენით შეაყრობილი ჭია ფრიად მისუსტებულია, უგუნებო, უშავდება გარე კანი და ეძლევა მყრალი სუნი. პასტერმა აღმოაჩინა ამ გეარი ჭიის წრბოლში აურაცხელი მიკროსკოპიული სხეულნი ანუ ვიბრაციანნი. სამწუხაროდ დღემდე არავითარი საშუალება არაა მოვონილი ამ სე-

ნის წინააღმდეგ. ჰუიქრობენ, რომ ეს სენი თითქო ფოთლებიდან ჩნდებოდეს, ფრიად სასურველია, რომ ის ოთახი, სადაც ეს სენი გაჩნდა, ძლიერ გასუფთავდეს და ეკმიოს ბლომად გოგარდი. ფლაშერს ძლიერ წაგავან კიდევ სამ-გვარი სნეულებანი: ა) არპანი (vers arpians ou gattinés), ბ) ლუსეტი (des luclettes) და გ) კლერეტი (des clairettes), რომელთა საშუალებაც ჯერ არა აღმოჩენილი.

ღ) გრასერი. (სისუქნე, la grasserie). ეს ჭირი იძლევა მეაბრეშუმობაში ყველაზე ნაკლებ ზიანს. მისი შემქნელი მიზეზი დღემდე არ იციან, არც მისი ექიმობა. შეატყვეს მხოლოდ, რომ იგი ვრცელდება ცივი ჰავის და სინესტის გამო. ეს სენი უჩნდება ჭიას ხშირად, როცა იგი დიდ კანში ამოსული, ან როცა ცახზედ ადის. ამ გვარ ჭიას გარეგნობით ეძლევა ყვითელი ფერი, ზანტდება და უშვებს მოყვითლო წრბოლს. მეცნიერმა ბოლმა აღმოაჩინა ჭიას წრბოლში პაწია მიკროსკოპიული სხეულნი (les corps polyédriques). ჰუიქრობენ ვითომუ გრასერი უნდა იყვეს არც გადამდები, არც მემკვიდრეობითი. შიუხედავათ ამისა უმჯობესია, თუ სადმე ეს სენი არსებობს, იქაური პარკები არ იყვეს შენახული სათესლედ, არამედ მოხმარებული აბრეშუმად. (ცნობილი მაიო ჩვენს ყურადღებას აქცევს კიდევ ერთ სენზედ, რომელიც ფრიად გავრცელებულია აღმოსავლეთში და მეტალურე იაპონიაში. ამ სენს ეძახიან უჯის (oudji). იგი მწერია, დებს პაწია კვერცხებს თვით ფოთოლზედ, რომლებიც შეჰყვება ხოლმე ჭამის დროს აბრეშუმის ჭიას, იჩეკება მის მუცელში, ხვრეტს და გამოდის გარედ. ხან პარკში კლავს ჭიას, ხვრეტს პარკს და გამოდის; ამ რიგად სამჩნეო ზარალს აძლევს მეაბრეშუმეთ*)

რაც შეეხება ფიზიკურსა და ქიმიურ მოძღვრებას პარკის და აბრეშუმის ძაფის შესახებ, ჩვენ ამაზედ აქ ვერ შევჩერდებით, რადგან იკი მეტად სპეციალურია; ვიტყვით, მხოლოდ,

*) იხ. Engène Maillot: „Lecous sur les vers à soie du turier“ p. 187.

რომ პარკის კანი შესდგება საშუალო რიცხვით 25—30% წე-
ბოდან (gomme) და 70—75% ბეჭიდან (fibroïne); მასთან
წებო ბევრად მეტი აქვს პარკის კანის გარე ნაწილს, ვინემ
შიგნივას. მასთან სცნეს ისიც, რომ ევროპის აბრეშუმის ბე-
წვები განსხვავდებიან აზის აბრეშუმისაგან. მაგ., აზის აბრე-
შუმის ბეწვი უფრო წმინდაა, ნაკლები მაგარი და ნაკლები
მსახრე (élastique), ვინემ ევროპისა, იმ შესაღარებელი
ციფრებიც:

აბრეშუმი	ევროპისა	აზისა
საშუალო სიწმინდე	30,6	26,6
სიმაგრე . . .	9,6	7,4
სიმსახრე . . .	12,5	1,003
საშუალო ტიტრი.	0,146	0,132

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ არამც თუ სხვა-და-სხვა ჯი-
შების, თვით ერთისა და იმავე პარკის ბეწვი არაა თანატოლი; პარკის ზეითა (გარე) კანის ბეწვი ყველაზედ უფრო მსხვილია,
ეს ბეწვი კი წვრილდება რამდენი პარკი უფრო ირლვევა და
კანი უთხელდება. ამის ცოდნას ფილატიურში დიდი მნიშვნე-
ლობა აქვს მეტადრე თუ სურთ, რომ თანატოლი ძაფი ამოილონ.

4) აბრეშუმის ამოხვევა ანუ ფილატიური (დევიდაჟი—qévi-
dage). აბრეშუმის ამოხვევაში არამც თუ ევროპამ თვით აზი-
ამაც (ჩინეთმა და იაპონიამ წასდგა დიდი ნაბიჯი). იქ ველარ
ნახავთ იმ სამუხელს, რითაც დღემდე მუშაობენ ჩვენში ქალე-
ბი და ახვევენ ტლანქს, მსხვილს და უსწორ-მასწორ ძაფს, რო-
მლის ფასი ძლიერ დაცემულია მსოფლიო ბაზარზედ. ევროპის
სამუხელი, ანუ უკეთ ფილატიური რთული და სრული მანქა-
ნაა. იგი ახვევს ერთბაშად 6—12 ძაფს, რომლებიც იხვევიან
სამი პარკიდან, ხუთიდან, ათიდან და სხვ., იმის გიხედვით თუ
რა სისხოს ძაფი უნდათ. ამ რიგად ამოხვეული ძაფი თითქმის
თანასწორია მთელ თავის სიგრძეზედ, სუფთა, მრგვალი, სირ-
მასავით ბრწყინვალე და ნაზი, რის გამო დიდ ფასშიაც იყიდება.

საბედნიეროდ კავკასიაშიღაც შემოიღეს უკვე ევროპიული ფილატიურები. აბრეშუმის ამოსახვევი ქარხნები უკვე გახსნეს ნუხაში სომხებმა. ხონსა და კუხში უკვე დაარსა ამგვარი ფილატიურის ქარხნები კუხის მეაბრეშუმეთა ამხანაგობაშ პატივულ მოღვაწის ნ. წერეთლის მეთაურობით. ურიად სასურველია, რომ ევროპიული ფილატიურები ბლომად შემოვიდეს ჩვენში, რომ მით მაინც წავდგათ წინ ერთი ბიჯი და პარკის ან ყოვლად საძაგელ ძაფის ნაცვლად ვუგზავნოთ ევროპას (თუ ჩვენ ვერ უნვარით ჯერ ფარჩეულობის ქარხნებს) შვენიერი, სუფთა, თანასწორი და სირმეული ძაფი და მით ვიღოთ ერთორად და ერთი სამად მეტი ფასი. საუკეთესო ფილატიურის იარაღებად ევროპაში ითვლება მანქანა ლეონ კამელისა (Léon Camel); ამ მანქანით შეიძლება ამოიხვეს ერთბაშაც 12 ძაფი ყველასათვის კი საკმარისია მხოლოდ ერთი ქალი. ეგრეთვე ამერიკელშა ინუენერმა სერელმა მოიგონა აფტომატიური ფილატიური, რომელსაც უსათუოდ დიდი მნიშვნელობა ექნება. აბრეშუმის ლირსებაში (ამოხვევის დროს) წყალსაც დიდი როლი აქვს, მაგ., წვიმის და საერთოდ ლბილი წყალი ძლიერ ხსნის აბრეშუმის წებოს და ამოხვევის დროს უკარგავს აბრეშუმს ლირსებას, მწარმოემელს კი აძლევს სამჩნევ ზარალს, მაშინ როდესაც კირნარი, მკვრივე წყალი იძლევა შვენიერ ლირსების აბრეშუმს, ე. ი. სუფთას, ნაზოვანს და მოელვარეს. ამ მოვლენას კაი ხანია მიაქციეს ევროპაში ყურადღება და ბევრს აღაგს საფრანგეთ-იტალიაში, სადაც არ მოიძებნება შესაფერი წყალი, ხელოვნურად ურევენ კირსა და სხვა გვარ მარილებს და ამზადებენ შესაფერ თვისების წყალს.

მეტი არ იქნება ვსთქვათ, რომ ახვევენ უმეტესად ხმელ-პარკებს და არა ნედლს. ჰკლავენ ჭიას და ახმობენ კი ბევრ რიგად, მაგ. მზეზე, ცეცხლზე, ორთქლით, მხურვალე ჰაერით და სხ. ევროპაში დღეს პარკის სახმობად და ჭიის სახოცად სპეციალური სადგურებია და ღუმელები, სადაც ორთქლით ან

რაიცა უმჯობესია, მხურვალე ჰაერით ხოცვენ ჭიებს; თვით პარკებ ხშირად ურევენ, აშრობენ ან გარედ ჩრდილში ან ოთახებში. ჭიის დახოცვის და პარკის გახშობის მიზანი ისაა, რომ პირველი, პარკიდან ჭია პეპლად არ გამოვიდეს და ამ რიგიდ არ დახვრიტოს, არ გაუფუჭოს პარკი, მეორე კი, გამხმარი პარკი კარგად ირღვევა. ხმობაში პარკს ძლიერ აკლდები სიმძიმე: ორთა შეუ რიცხვით სამი გირგანქა ნედლი პარკი იძლევა ერთ გრძელებას ხმელ პარკს, ღათხი გირგანქა, ხმელი პარკი კი იძლევა ერთ გირგანქას ძაფს და მეოთხედ გირგანქა ყაჭის.

დღეს ყველაზედ უკეთ განვითარებული ფილატიური არის საფრანგეთსა და იტალიაში; ფილატიურის საუკეთესო ქარხნები ბლომადაა ვალანსში, არღეშში და ლომბარდიაში*). ამ ბოლო დროს იცონიასა და ჩინეთშიდაც გააუმჯობესეს ძლიერ ფილატიური, ეგრეთვე სირიაში, საბერძნეთში და ახლა კავკასიაშიდაც მართავენ ევროპიულ სისტემის ფილატიურებს. დროც არის!



VI

ახლა, სანამ გადვიდოდეთ აბრეშუმის ინდუსტრიაზედ, ვგონებ, არ იქნება მეტი ვსოქვათ ორიოდე სიტყვა იმ ნარჩინაზედ, რაც რჩებათ მანიანერში, ფილატიურში და მულინაჟში. მანიანერში, ე. ი. აბრეშუმის ჭიის აღმზრდელ სახლებში რჩება კარგა ბლომად გაფუჭებული, დახვრეტილი ან დაუსრულებელი პარკები. ფილატიურში რჩება თავზედ ამოხვეული ძაფი, მულინაჟში კი, ე. ი. ძაფის სართველ-საგრეხელ ქარხანაში.

*) არღეში და ვალანსი საფრანგეთშია, ლომბარდია კი იტალიაში. ავტორი:

რჩება ნაბურდალა ძაფი. ყველა ამათ საერთოდ უწოდებენ ღუშეს, ე. ი. ნარჩიელას (déchet). ყოველივე ამას აქვს ბაზარი და მოხმარება. მათგან აკეთებენ აბრეშუმის მსგავს ძაფს, რომელსაც ჰქვია შაპი (chappe), ე. ი. ყაჭის ძაფი. ამან გამოიწვია ევროპაში მთელი ინდუსტრია და დაარსდა მეტადრე ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში და შვეიცარიაში მრავალი ქარხნები. რომ ვსთქვათ, ემ ნარჩიელას არც ისე დაცემული ფასი აქვს მსოფლიო ბაზარზედ. მაგ. ერთი კილოგრამი გაფუჭებული ხმელი პარკი იყიდება 5—8 ფრანკად, ერთი კილოგრამი დომფალა ძაფი კი ღირს 7—10 ფრანკი— სტარისტიკა გვამხელს, რომ მთელს ევროპაში ყოველ წლობით კეთდება და შედის ხმარებაში 3¹/₂, მილიონი კილოგრამი შაპი, ე. ი. ყაჭის ძაფი. ეს რიცხვი საკმაოდ დიდია და ღირსი ყურადღებისა.

იქნებ მკითხოთ, თუ რად უნდათ ეს ყაჭის ძაფიო? მას ხმარობენ ბევრს რამეში; ნუ დავივიწყებთ, რომ იგი ისევ აბრეშუმის ძაფია, მასავით მაგარი, ხოლო ბევრად უფრო ტლანტი; არა აქვს ის სინაზე უა ელვარება რაც ნამდვილ აბრეშუმს; ამიტომ ყაჭის ძაფს ხმარობენ შალ-აბრეშუმებში, მისგან ქსოვენ აურაცხელ იაფფასიან ფარჩეულს ავეჯისათვის, ხმარობენ ტრამალ (ჩასაქსოვად) მდარე ხავერდებში, პლიუშებში და ლენტებში, მისგან ქსოვენ ბუზმენტებს, ფულარს, ბახრამას (frangées), ზორტებს (cordonnets), ურევენ ბამბაში და ქსოვენ ჩითაბრეშუმს და ათას სხვა რამეს. ამიტომ ყაჭისთვის არსებობს კალკე ფილატიურები, კალკე მულინაუი, ტენტური და ტისაუი. ერთი სიტყვით მან გამოიწვია სულ ახალი განსაკუთრებული ინდუსტრია.

რონდოს ანგარიშით მთელს აზიაში მოდის ყოველ წლობით 250 მილიონი კილოგრამი ნედლი პარკი, რაიცა უდრის 75 მილიონ კილოგრამ ხმელ პარკს. აქედან ერთი მესაზი ე. ი. 25 მილიონი კილოგრამი წამხდარი პარკი და დომფალა რჩება დეშეთ, ეს დეშე წინეთ იაპონიიდან მოდის ყოველ წლობით 250 მილიონი კილოგრამ ხმელ პარკს. აქედან ერთი მესაზი ე. ი. 25 მილიონი კილოგრამი წამხდარი პარკი და დომფალა რჩება დეშეთ, ეს დეშე წინეთ იაპონიიდან მოდის ყოველ წლობით 250 მილიონი კილოგრამ ხმელ პარკს.

ბით ევროპა-ამერიკაში 3^{1/2}, მილიონი კილოგრამი. აქედან
ხმარობენ:

ინგლისი	800.000	კილოგრამს.
შვეიცარია .	850.000	"
საფრანგეთი .	850.000	"
გერმანია .	330.000	"
იტალია .	230.000	"
ავსტრია .	130.000	"
ამერიკის შტატები	100,000	"
ბელგია .	80.000	"
რუსეთი .	30.000	"
სულ 3 400.000		"

აბრეშუმის სიძვირემ და დიდმა გაზარდა აღუძრეს მრავალთ სურვილი. შეექმნათ უბრალო საშუალებით ხელოვნური აბრეშუმი ზოგმა მიაქცია ყურადღება მცენარეებს და მართლაც ნახეს, რომ ჩინეთში და აზიის სხვა ქვეყნებში არსებობს ერთგვარი მცენარე; რომელსაც უწოდებენ რამს ანუ ჩინეთის ჭინჭარს; რაკი ერთჯერ დაირგვის, ეს მცენარე ოქცივა პუნქად, ძლებს 40—60 წლამდე და ყოველ წელს ითიბება 2—3 ჯერ და 4—5 ჯერაც კი, თუ ლამიანი ადგილია; ამ რიგად მისი მოსავალი მეტად დიდია. მისი კანი იძლევა მართლაც შესანიშვავ ძაფს, რომელიც სიმაგრით, სინაზით და ელვარებით თითქმის არ ჩამოუვარდება ნამდვილ აბრეშუმს. ხოლო ამ მცენარეს აქვს ფრიად დიდი ნაკლი: მალე ხმება და ამიტომ კანის გაცლას სჭირდება დიდი დრო და თხოვილობს დიდ ხარჯს, და თუ დასველეთ მცენარე და ისე გააცილეთ კანი, მაშინ ჰკარგავს იგი აბრეშუმის თვისებას. დღემდე მისი კანის გამცელელი ადვილი მანჭანა არაა მოგონილი, რაც დიდათ აფერხებს ამ ყოვლად სასარგებლო მცენარის კულტურას.

ეგრეთვე მრავალმა განათლებულმა ევროპიელმა მოისურ-

ვეს შეექმნათ ხელოვნური აბრეშუმი ქიმიურად. მრავალმა ანალიზებმა უკვე გვაჩვენეს თუ რისგან შესდგება აბრეშუმის ძაფი და აბრეშუმის ჭიის წრპოლი (საქსოვი წვენი); თუ კი ეს ვიცით, აღარ უნდა იყვეს ძნელი, რომ კაცმა შეაერთოს ქიმიურად აბრეშუმის შემადგენელი ნივთიერებანი, შევქმნას კოლლოდიუმი (წყბოს მსგავსი სითხე), გაიყვანოს წვრილ მილებში, გააშროს და აქციოს აბრეშუმის ძაფად. მართლაც აღმოჩნდა საფრანგეთში ერთი მეცნიერი, გვარად შარლონე (M. de Chardonnet), რომელმაც შევქმნა ქიმიურად ხელოვნური აბრეშუმი. მან აიღო ბამბა, გახსნა იგი აზოტის სიმჟავეში, შევქმნა ამ რიგად ნიტრო-კელულოზა, რომელიც გახსნა $65^{\circ}/\text{c}$ ალკოჰოლ-ეთერში და გააკვთა ამ რიგად კოლლოდიუმი, რომელიც გაატარო წვრილ ბუსუსა სოლინარებში და გარდაქმნა ძაფად. ეს ძაფი თავის ელვარება-სინაზით არ განირჩევა ნამდვილ აბრეშუმიდან, ხოლო არა აქვს ის სიმხახრე და სიმტკიცე. თანაც სიცხის გამო ხმება ძლიერ და წყდება იღვილად. ეს საოცარი ცდა შარლონემ მოახდინა პირველად საჯაროდ პარიზის სამეცნიერო აკადემიაში 1889 წელს. ამ უამად რამდენადაც ვიცით, შარლონეს უკვე გაუმართავს ქარხანა საფრანგეთის ერთ პაწია ქალაქში და ჰქმნის ზემო თქმულ მეთოდით აბრეშუმის ძაფს, რომელიც ალაგ-ალაგ უკვე შემოვიდა ხმარებაში. ამ რიგად შარლონეს მიერ ქიმიურად მოგონილი აბრეშუმი წარმოადგენს დიდ ინტერესს და თუ ცოტად გააუმჯობესა მან იგი, მაშინ შეუძლია გაუწიოს დიდი მეტოქეობა ნამდვილ აბრეშუმს და ძლიერ დასცეს მისი ფასი მსოფლიო ბაზარზედ.

VII

თვით აბრეშუმის ვაჭრობაც ევროპაში საგულისხმოა. როგორც ჩვენში შვრებიან, ისე ევროპიელი არას დროს არ

იყოდის აბრეშუმის. ყოველი აბრეშუმი, პარკია იგი, უბრალო შულო, თუ დართულ-დაგრეხილი ან გამოხარშულ-შეღებილი ძაფი, მან უსათუოდ უნდა ვაატაროს ეგრედ წოდებულ კონდისიანში (Conditions de soie). იქ აბრეშუმს შეამოწმებენ სპეციალისტები, განიხილვენ მექანიკურად, ფიზიკურად და კიბიურად ყოველივე მის ღირსებას თუ უვარევისობას და მის კემენ „ხარისხს“ (ტიტრს—titre), რის გამო ეძლევა აბრეშუმს გადაწყვეტილი ფასი. ამ რიგად არც მყიდველი ტყუვდება და არც გამყიდველი.

ახლა ვიკითხოთ, თუ რაა ეს კონდისიანი. როგორც ვიცით, აბრეშუმი ბევრნარია. განსხვავდებიან ერთი-მეორია-გან სინაზით, კლვარებით, სიმაგრით, სიმსახრით, ძაფის სითანასწორით, სისხლ-სიწმინდით, წეროს სიმრავლით და სხვ. ყველა ამაებს დაწვრილებით შეტყობა უნდა და, იმისდავვარად კარგი მხარეები სჭრბობს თუ ცუდი, აბრეშუმის ფასიც მა-ტულობს ან კლებულობა. გარდა ამისა რაღვან აბრეშუმი ძირია, ბევრი უსინიშისო გამყიდველი წონისათვის აბრეშუმში ურევს შაქარს, ზეთებს და სხვა მრავალ ორგანიულ და მინე-ტალურ ნივთიერებათ. ყველა ამაებს ეჭირვება შეტყობა და განშორება. ეცრეთვე, რაიცა ფრიად საგულისხმოა, აბრეშუმი ითვისებს (ისვავს) ჰაერიდან კარგა ბლობა წყალს (წყალს ურევენ ევრეთვე), ასე რომ ხმელს ჰავაში ან გვალვიან დარებში აბრეშუმს ნაკლები წონა აქვს (რაღვან შიგ ნაკლები წყალია), ავდარში ან ნესტიან ჰავაში კი იგივე აბრეშუმი სიმძიმეს ბევრად მატულობს: ეს იმის ნიშანია, რომ წყალი შეუსვავს. ჩვენ შეგვიძლია განვაშოროთ ეს წყალი და სიმძიმეც მოაკლდება.

ასე რომ აბრეშუმის ნაკლ-ღირსებათა შეგნება და სიმართლით დაფასება ისე ძნელია, რომ ყველა კაცი ის არ შეუძლია. იმისათვის საჭიროა მანქანები და ჭარატები, საჭიროა შათემატიკის, ფიზიკის და ქიმიის ცოდნა, საჭიროა ჰატიოსანი პირი, ერთი სიტყვით საჭიროა სარწმუნო და სპეციალური. დაწესებულებანი, საღაც შეიძლებოდეს გამოიცნონ აბრეშუმი,

განწვლილონ, შეიგნონ მისი ცუდი და კარგი მხარენი, მისცენ გარდაწყვეტილი ტიტრი და მით არც მყიდველი დაჩაგრონ და არც გამყიდველი. მართლაც ევროპის მრავალ ქალაქებში უკვე დაარსეს ამ გვარი დაწესებულებანი და უწოდეს კონდი-სიონ-დე-სუა ე. ი. აბრეშუმის დარსებათა შემტყობა. ამ დაწესებულებათ დიდი სარგებლობა მოუტანეს ევროპის მეაბრეშუმობას და კერძოდ აბრეშუმის ინდუსტრიას: ანთავისუფლებენ სამჩნევად მსოფლიო ბაზარს აბრეშუმის ფალსიფიკაციიდან, უწყვეტენ ყოველ წლობით დაღვენილ ფასს და აყენებენ მის ვაჭრობას პატიოსან ნიადაგზედ. ერთ ანგარიშიდან ვვებულობთ, რომ მარტო ლიონის კონდისიონს 1805—1877 წლამდე მოუტანია აბრეშუმის ვაჭრობისათვის 134 მილიონი ფრანკი სარგებლობა, თითონ კი შრომის ქირად წაულია მხოლოდ 14 მილიონი ფრანკი.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სამწუხაროდ ჩვენში ვერ ვამჩნევთ ამ გვარ რამეს. სასურველი კია, რომ მთავრობამ მოიწადინოს და დაარსოს კავკასიაში ერთი კონდისიონი მაინც (შეიძლება დაარსდეს თბილისში მუშტაილში თაბრეშუმო საღურთან), მით მისცეს ყოველ წლობით ჩვენს აბრეშუმს გარდაწყვეტილი ფასები და ალაგმოს ჩარჩები და უსინილის ვაჭრები, რომ ერთი მხრით იხსნან ჩვენი საბრალო მწარმოებელნი მათ ხრიკებიდან და მეორე მხრით აუმაღლონ სახელი და ფასი კავკასიის აბრეშუმს მსოფლიო ბაზარზედ, სადაც ჩარჩების წყალობით ჩვენი აბრეშუმის ღირსება და სახელი ძლიერ დაცემულია. დარწმუნებული ვარ, რომ როგორც ევროპაში, ისე ჩვენშიაც ამ გვარი დაწესებულება მოიტანს აურაცხელს სარგებლობას.

პირველად კონდისიონი დაარსდა იტალიაში (ქ. ტურინ, ში) 1750 წელს. 1779 წელს როსტმოპამ დაარსა ლიონში (საფრანგეთში) მეორე კერძო კონდისიონი. მათ წაბაძეს სხვ: სახელმწიფოებმა და ქალაქებმა. საფრანგეთში გამრავლდა კო-

ნდისიონები და, ვინაიდგან սათ აქონდათ კერძო ხასიათი, წა-
სძლიათ სულმა, ანგართ-მოყვარებამ და იწყეს სიცრუე-მაცულუ-
რობა, რომ მით მეტი ფული აეღოთ. ამის შესახებ ლიონის
შამბრ-დე-კომერსმა (ე. ი. სოვეტაგართა საზოგადოებამ) 1803
წელს იშუამდგომლა მთავრობის წინაშე, რათა მას მიეღო თა-
ვის თავჭედ ყველა კონდისიონები, ჩაეყენებია მცოდნე, სინი-
დისიერი პირნი და მით აელაგმა თავჭედი ვაჟბატონები, მთავ-
რობამ შეიწყნარა ეს თხოვნა და გახდა პატრონი კონდისიო-
ნებისა, რომელნიც მის შემდეგ დაადგენ პიტიოსან და სამარ-
თლიან გზას. ამ უამაღ არსებობს:

საფრანგეთში . . .	14	კონდისიონი.
იტალიაში . . .	11	"
გერმანიაში . . .	2	"
შვეიცარიაში . . .	2	"
ავსტრიაში . . .	1	"
ინგლისში . . .	1	"
სულ 31		"

ყველა ამ კონდისიონების მოდელად შეიქნა ლიონის კო-
ნდისიონი, რომელიც თავის სიდიდით და მოწყობილობით სჭა-
რბობს ყველას და რომელშიაც ყოველ წლობიდ ისინჯება 5
— 6 მილიონი კილოგრამი აბრეშუმი აუ ერთი მესამედი მთლად
იმისა, რაც მთელს ეკროპაში. ევროპაში გაყიდული აბრეშუმი
თითქმის, ორჯელ გაივლის ხოლმე კონდისიონში, ასე რომ,
როგორც ვიცით, ევროპაში ყოველ წლობით იყიდება 10—11
მილიონი კილოგრამი აბრეშუმი, კონდისიონში კი ისინჯება
15—16 მილიონი კილოგრამი. მოგვყავს აქ ევროპის უმთავ-
რეს კონდისიონებში გასინჯულ აბრეშუმის რიცხვი:

	1887 წ.	1888 წ.
ლიონი (საფრანგეთი) . . .	4.817.587 კ-მი	5.183.520 კ-მი
სანტ-ეტიენი (საფრანგ.).	1.043.390 "	1.319.518 "

კუფელდი (გერმანია). . .	467.868	"	581.525	"
ელბერფელდი (გერმანია).	258.721	"	226.349	"
შილანი (იტალია). . . .	3.830.250	"	4.538.305	"
ტურინი (იტალია)	608.025	"	617.839	"
ციურიხი (შვეიცარია)	1.004.790	"	1.152.284	"
ბაალი (შვეიცარია)	448.663	"	545.162	"
	ს უ ლ	14.129.802	16.054.205	"
		1887 წ.	1888 წ.	

ამ რიცხვში ნედლ შულო

ძალად გაუსინჯავთ 6.853.045 კ-მი 8.028.273 კ-მი
და დამზადებულ-დაწუშავე-

ბული ძაფი კი . . . 7.276.757 „ 8.025.932 „ *)

აი, რა რიგად უმატნია ლიონის კონლისიონში აბრეშუ-
მის ჯასინჯვას:

წლები.	კილოგრამი.	დამზადებული აბრეშუმი.
1805	422.676	დამზადებული აბრეშუმი.
1825	566.020	,
1850	2.066.662	ნედლი და დამზად. აბრ.
1860	2.896.483	,
1867	3.222.805	,
1877	3.399.761	,
1888	5.183.520	, **)

აქვე საჭიროა შევნიშნოთ, რომ გარეშე აბრეშუმის რიცხვი
ძლიერ უმატნია საფრანგეთში.

გაგ. 1842 წ. (შემოს.)	15.44%	1868 წ. (შემ.)	75.66%	
1850 წ.	„	25.64%	1877 წ. „	86.05%
1860 წ.	„	56,10%	1888 წ. „	87.30%***

*) იხ. L. Vignon „La soie“, 1890 p. 352.

**) Ibid. p. 350.

***) Ibid. p. 351.

ახლა ვიკითხოთ, თუ რაში მდგა ამარეობს კონდისიონში გასინჯვა აბრეშუმისა? პირველად იკვლევენ სინესტეს, ე. ი. თუ რამდენი წყალი შეუსვავს აბრეშუმა, შემდეგ აბრეშუმის ნაძვილ სიმძიმეს; შემდეგ ხარშვენ აბრეშუმს და იგებენ, თუ რამდენი წებო ჰქონებია; მასთან აცლიან საპნით ჭურდულად მიმატებულ სხვა და სხვა ორგანიულ ნივთიერებას. მას შემდეგ უშვრებიან ქიმიურ ანალიზს და იგებენ, თუ რა მინერალური ნივთიერებანი მიუმატებიათ აბრეშუმისათვის. ბოლოს არის ტიტრაჟი, ე. ი. შეტყობა ძაფის თანასწორობისა, სიმაგრის, სიმსხო-სიწმინდისა, სინაზე-სიელვარისა და სხ. და სხ.

უმჯობესია შევაღოთ კონდისიონის, კარები და ვნახოთ, თუ რა ხდება შიგნით. პირველად დაგხვდებათ ფრიალ ვრცელი საწყობები, რომლებიც სავსეა გასაშინჯად მოტანილ აბრეშუმით; ახვალთ ზევით და ვეებერთელია შენობა სავსეა ჭალით და კაცით, ე. ი., მოხელე-სპეციალისტებით, რომელნიც მუშაობენ გამალებით. ერთ განყოფილებაში აწყვია რამდენიმე დესისიკატორები (სახმობი, ანუ საშრობი მანქანები) Désiccateur Tabalot-Persot-Rogeat), რომელშიაც აშრობენ აბრეშუმს და იკვლევენ შესმულ წყლის ორგანიულ ნივთიერებათ, ამ რიგად ტყობილობენ ძაფის ნამდვილ წონას. მეორე განყოფილებაში შვრებიან დეგრესაჟს, ე. ი. ხარშვენ და აცლიან აპრეშუმს წებლის და ჭურდულად მიმატებულ ორგანიულ ნივთიერებათ, ამ რიგად ტყობილობენ ძაფის ნამდვილ წონას. მესამეში უშვრებიან აბრეშუმს ჭიმიურ ანალიზს ან სწავენ და ნაცრით გებულობენ მიმატებულ მინერალურ ნივთიერებათ, ან რეცხენ ალკოჰოლით (სპირტით), ბენზინით, ეთერით, ან გოგირდ-ძანახშირით და გებულობენ სხვა-და-სხვა მიმატებულ ნივთიერებათ. მეოთხე, მეხუთე და მეექვსე განყოფილებებში შვრებიან ტიტრაჟს, ე. ი. იგებენ აბრეშუმის სიმსხოს, სიმაგრეს, თანასწორობას და სიმსახრეს. ყველა ამაებისათვის არსებობს რამდენიმე აპარატები და მანქანები. მაგ., ძაფის სიმაგრეს და სიმსახრეს იგებენ სერიმეტრით (sérimètre), დართულ-დაგ-

რეხილ აბრეშუმის გრეხილის რიცხვს იგებენ კონტერ-დაპრეტით (compteur d'apprêts), დევიდაჟით, მულინაჟით და მათემატიკურ ანგარიშით უკვლევენ ძაფის სისხოს, თანასწორობას და სხ. ამ რიგად შეიტყობენ თავილან პოლომდე აბრეშუმის ყოველივე ნაკლა უა ღირსებას.

VIII

აბრეშუმის ჩნდულები.

1. მულინაჟი ანუ უკრეზონი, ე. ი. აბრეშუმის დართვა-დაგრეხა. მულინაჟი შეადგენს განსაკუთრებით დარგს აბრეშუმის ინდუსტრიაში და აქვს თავის საკუთარი ქარხნები და მანქანები. იგი არის ერთი უმთავრესი საჭიროება აბრეშუმის მრეწველობაში. უიმისოდ ძაფი იქნებოდა ბევრად სუსტი, ულონო და მრავალ თვისებებს მოკლებული. მულინაჟი ართავს, გრეხს აბრეშუმის ძაფს და მით აძლევს მას დიდ სიმაგრეს და გამძლეობას, სწმენდს და მით მოსავს ელვარებით. ამის-და მიხედვით მულინაჟი იყოფა ოთხ ნაწილად (ოპერაციად).

1) დევიდაჟი ე. ი. ლოტრებზედ დახვევა შედო ძაფისა და დასართავად მომზადება.

2) დართვა სათოთაო ძაფისა.

3) ერთად დართვა-შეგრეხა თუ უბბე დართულ-დაგრეხილი ძაფისა და მათი ლოტრებზედ დახვევა.

4) რაოდენიმე დართულ ან დაურთველ ძაფების ერთად დართვა-შეგრეხა, ლოტრებზედ დახვევა, ანუ ისევ შედოდ გარდაჭმნა.

ერთს ძაფს მარტოდ დართულ-დაგრეხილს ჰქვიან შეაფი (ბეწვი). მას ხმარობენ თხელ წმინდა ფარჩეულის საქსოვად. ორს ან რამდენიმე ძაფს ლინავ დართულ-შეგრეხილს ჰქვიან.

ტრამი (ე. ი. ჩასაქსოვი ძაფი), და ცალ-ცალკე დართულ-და-
გრეხილს ძაფს კი, რომელთა შრრის შემცევებ კიდევ ორს ან
რამდენიმეს ერთად ართავენ და გრეხენ, ეწოდება ორგანისენი
(ქსელის ძაფი). მას ხმარობენ მხოლოდ ქსელისათვის და ღირს
ყველაზედ ძვირად.

დიდი ხანია წავიდა ის დრო ევროპაში, ძვირფასო მკით-
ხველო, როცა ჩვენებური ტრადიციული ჯარა, ფირფიტა, თი-
თისტარი იყვენ ერთად ერთი სულის ჩამდგმელი მანქანები მუ-
ლინაეისა. დღეს მათი ხსენებაც აღარ არის; დღეს მათ მაგიერ
ორთქლით, გაზით ან ელექტრონით ტრიალებენ საოცარის
სისწრაფით რგვალი ან წოწოლა სართავი და საგრეხი მანქანე-
ბი (moulin rond ou ovale). თითო მათგანი თაყოფრლია სა-
რთულებად, ართავს, გრეხს და ახვევს ერთ დროს რამდენიმე
ასა შეულოს ან ლოტრა ძაფს.

ძაფის სახვეწი და სახვევი მანქანები კიდევ ცალკეა. რო-
გორც ვსთქვით, პუალს ხმარობენ წმინდა, სუბუქ ნაქსოვთა-
თვის, ტრამს ყოველ ქსელის ჩასაქსოვად, ორგანისენს-კი ქსე-
ლად. ქსელის ძაფი მუდამ საუკეთესო უნდა იყვეს, უკეთესი
ღირსების, უკეთ დართული, უკეთ დაგრეხილი, დახვეწილი და
სხვა, რადგან მხოლოდ იგი სჩანს ნაქსოვის ზედა პირზედ. და
მართლაც ორგანისენს განსაკუთრებითი ყურადღება აქვს მიქცე-
ული, მისი ოპერაცია რთულია და ნაზი. მასთან ყოველგვარ
ნაქსოვს ეჭირვება თავ-თავის შესაფერი ორგანისენი, ე. ი. გლა-
სებს უნდათ ერთგვარი ორგანისენი, ატლასებს მეორე გვარი,
ხავერდს მესამე გვარი და სხვ. ერთს ეჭირვება ძლიერ შეგრეხი-
ლი, მეორეს კი უფრო ფამფო, და სწორედ ამისდა მიხედვით
ამზადებენ ორგანისენებს მულინაეში.

2) ტეინტური ანუ ძაფის გამოსარშვა და შეღებვა.

ტეინტური შეიცავს ფრიად რთულს და ერთ უმთავრესს
ნაწილს აბრეშუმის ინდუსტრიაში (la soirie). თუ ტისხაუ-
აძლევს აბრეშუმეულს ფორმას, სამაგიეროდ ტეინტური იძლე-

ვა აურაცხელ ფეროვნებას და აკუთვნებს აბრეშუმს ბრწყინვალებას, სინაზეს, სიმაგრეს და სიმსახრე-სინარნარეს. მართლაც დღეს ჭიმიურ და ტენიკურ მეცნიერების წყალობით თითქმის არც ერთი ნაწილი ინდუსტრიისა არაა ეგრე განვითარებული; როგორც ტეინტური. განვიხილოთ იგი. მოკლედ.

ტეინტური იყოფა ორ დიდ ნაწილად: 1) ძაფის გამოხარშვა და 2) ძაფის შეღებვა. თვით ძაფის გამოხარშვა არის სამ გვარი: ა) მღვედლო ძაფი, ანუ ოდხავ გამოხარშეჭა (soie crue); 2) მსახურ ძაფი ანუ საშუალოდ გამოხარშეჭა (soie souple). და გ) სრულიად გამოხარშეჭა ძაფი (soie suite) თვითო ამათგანს აქვს თავთავის ხასიათი, რომელსაც იგინი ათვისებენ. ნაკლებობა. მაგ., ოდნავ გამოხარშელი ძაფი იძლევა ხმელს, მოტლან ქას და მტკიცე ფარჩეულს; საშუალოდ გამოხარშელი ძაფი ჰქმნის საკმაოდ ბრწყინვალე და ნაზ ფარჩეულს, რომელსაც აძლევს. აგრეთვე სისქეს და სიმტკიცეს; სრულიად გამოხარშელი ძაფი კი იძლევა უფრო ლბილს, ელვარეს და მსახურ აბრეშუმეულს, რომელიც მასთან მეტად ნაზია და წმინდა.

ახლა ვიკითხოთ თუ რაში მდგომარეობს ძაფის გამოხარშვა. როგორც უკვე ვსოდეთ წინად, აბრეშუმის ძაფში იმყოფება $25 - 30\%$ -დე წებო, რომელიც ეცლება ცხელი წყლით და საპნით. ვინაიდგან ჩვენ ჭარბა ხანს დავრჩით ლიონში, ამ ევროპის უმთავრეს სააბრეშუმო ცენტრში და გვეონდა ბევრ ჯერ შემთხვევა გვენახა და დაწვრილებით დაგვეთვალიერებია, როგორც საქსოვი ჭარბნები, წვრილი საფეიქრონი, მულინაჟი, ურდისაჟი და სხვა, ეგრეთვე ტეინტური ე. ს. საღებავი ჭარბები, ამიტომ გვეძლევა საშუალება ვაუწყოთ მკითხველს. ას რაც თვალით ვნახეთ, რა და რა მანქანები და რა და რა საშუალებანი არიან ხმარებაში ტისსაჟში, მულინაჟში და ტეინტურში. შევჩერდეთ ტეინტურზედ.

ძაფის გამოსახურშად საღებავ ჭარბნებში ხმარობენ გძელ აუზებს ანუ საწნახლებს ხისს ან სპილენძისას, სადაც წყალს

ათბობენ ხშირად ორთქლით, რომელიც მიღითავა გამოყვანილი ყოველ აუზში. შიგ ჩაჰკიდებენ ძაფს. ჯოხით და აბრუნებენ ხელით ან მანქანით. თუ ჰსურთ გააკეთონ: ოდნავ გამოხარშული ძაფი, მაშინ წყალში ურევენ $6-8\%$ სიღდას და სითბოც არ უნდა იყვეს 40° (ცელსიით) მეტრ. ამ ძაფს გააჩანჩხალებენ რამდენჯერმე, რომ მოაშორონ ცოტაოდენი წებო და ჭუჭყი. შემდეგ მოილებენ, გაშურვენ ერთგვარ მანქანის საშუალებით, რომელსაც ჰქვია ესორეუზი ანუ წყლის მწურავი (essoreuse ou hydro-extracteur) და გაჰკიდებენ გასაშრობად სპეციალურ თახში, რომელსაც ჰქვია საშრობი თახი. (სეშუარ—séchoir).

საშუალოდ გამოხარშულ ძაფს აკეთებენ ორ გვარად: 1) მომჟაო და სიღდან ცხელი წყლით და 2) თბილი საპნანი წყლით. პირველ შემთხვევაში 90° -დე გაცხელებულ წყალში. ურევენ (ხსნიან) ცოტა სოდას და ცოტა ლვინის მარილს ან გოგირდის სიმჟავეს; მეორე შემთხვევაში კი $25-35^{\circ}$ -დე გამთბარ წყალში ხსნიან 10% , საპონს. ამ გვარ წყალში ძაფს გააჩერებენ ერთხანს, საღაც ძაფი ჰკარგავს თავის წონას $5-10\%$ -დე. შემდეგ სწურვენ მავრად ზემოაღნიშნულ მანქანით და აშრობენ.

აბრეშუმის სრულიად გამოსახარშად დღეს წმართმებენ საპნიან ცხელ წყალს. წინად წყალში ურევდენ სხვა და სხვა სიმჟავეს და მარილებს; დღეს კი ცნობილია, რომ არაფერი არ ხარშავს აბრეშუმს ისე კარგად, როგორც საპნიანი ცხელი, თითქმის მღულარე წყალი. საპონი არამც თუ აცლის. ძაფს წებოს, არამედ ასაზრდოებს მას, ე. ი. ალბილებს მას და აფუნთუშებს. ერთი სიტყვით აბრეშუმს უყვარს. საპონი მღულარე საპნიან წყალში ჩაჰკიდებენ და აბრუნებენ. ძაფს $35-40$ წუთამდე; ამ რიგად აცლიან ყოველივე წებოს; შემდეგ სწურვენ, ავლებენ რამდენჯერმე თბილსა და ცივ წმინდა წყალში, სწურვენ მავრად და აშრობენ, ამ რიგად იხარშება სრულიად ძაფი და ეძლევა სინაზე, სიმსახურე და საოცარი, ბრწყინვალება. თუ ჰსურთ ეს ძაფი შეღებონ თეთრად ჯნ ნათელ ფერებად,

მაშინ მას ხელახლად ხარშვენ ისევ ცხელ წყალში, რომელშიაც ხსნიან 17%, საპონს. ხშირად სრულიად გამოსახარშ ძაფს სჭიმვენ მეტანიკურად აუზ ში, რითაც ეძლევა ძაფს მეტი ელვარება, ბრწყინვალება. საჭიმავ მანქანას ეწოდება ეტიორეზი—(etireuse). როცა ძაფი უკვე კარგადაა გამოხარშული, მას რამდენჯერმე გაატარებენ (გააჩანჩხალებენ) წმინდა წყალში ან ხელით ან მანქანით; შემდეგ სწურვენ მაგრად და აშრობენ, ან ლებვენ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საზოგადოდ ტეინტურის ქარხნებში სახარშავი და სარეცხი წყალი უნდა იყვეს რაც შეიძლება მეტი ლბილი, უკირო და ტკბილი, რომ მით მან გაზსნას და განაშოროს აბრეშუმს მეტი წებო და საპონი და თან მოანდომოს ცოტა საპონი. ერთი სიტყვით, საპონი არ უნდა შეჰყვეს აბრეშუმს. ამიტომ თუ ფილატიურში კირიან მკვრივე წყალს აქვს დაფასება, აქ ტეინტურში სრულიად წინააღმდეგ, ტკბილ, უკირო წყალს უჭირავს პირველი ადგილი და სწმენდს აბრეშუმს შესანიშნავად.

ახლა შევეხოთ ტეინტურის მეორე ნაწილს ანუ თვით შეღებვას. ყველამ უწყის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის თვალში და გემოვნებაში ტანსაცმელის ფერებს. ბამბისაა, შალის თუ აბრეშუმის რომელიმე ნაქსოვი, უწინარეს ყოვლისა მყიდველი აქცევს. ყურადღებას სახეს და ფერს; ამიტომ ქსოვის მოგონებისათანავე უხსოვარი დროიდგან ადამიანი ცდილობდა ეშოვა საღებავი მასალა. როგორც ვიცით მზის სპექტრის მიხედვით, არსებობს შვიდი უმთავრესი ფერი: წითელი, ნარინჯი, უკითელი, მწვანე, ცისფერი, ლურჯი და იასფერი. ყველა ეს ფერები ერთად შეკრებილი ჰქმნიან თეთრ ფერს, შეკი ფერი კი არის არყოფა, განშორება ყოველივე ფერისა;— მაგრამ გარდა ამ უმთავრეს ფერებისა, არიან ბევრი აურაცხელი გარდამავალი ფერები, ტონები, ნიუბნები და სხვა. ძველადგანვე, თითქმის ამ საუკუნის 70 წლამდე ყოველივე ზემონათქვამ ფერების შესაღენად ხმარობდენ მცენარეულების

და ცხოველთა საღებავთ: მაგ., თრიმლს, რკოს, სუმახს და ნი-
გვზის კანის წვენს, ენდორს, ჭიისფერს, წითელ ხეს, ბრონქეუ-
ლის კანს, ჰაფრანას, სანტალს, ლილის და სხვა. ყველა ამ სა-
ღებავებს ჰქვია ბუნებრივი ანუ ორგანიული საღებავები. თუმცა
ორგანიული საღებავები ძრიღლ კარგი ფერის მიმცემი და მე-
ტადრე ფრიად გამძლენი იყვნენ, მაგრამ დღეს ევროპის ტეინ-
ტურმა შეიძულა იგინი თავიანთ სიძვირის გამო, და საყოველ-
თაო ხმარებაში შემოვიდა თავის ცხოველი ფერების და მეტა-
დრე სიიაფის გამო ეგრედ წოლებული ხელოვნური ანუ მინერა-
ლური საღებავები, რომელნიც წარმოშობა უორგანო ნივთიერ-
ებიდგან ქიმიურმა მეცნიერებამ. ხელოვნური საღებავები პი-
რველად შემოიღო ხმარებაში გინონმა (ლიონში) 1848 წელს.
შემდეგ 1856 წელს ინგლისელმა ქიმიკოსმა შერქენმა შეამზადა
რამდენიმე საღებავი და ბოლოს ლიონელმა მეცნიერმა კერგენ-
მა 1859 წელს აღმოაჩინა შესანიშნავი წითელი საღებავი, რო-
მელსაც უწოდა ფუქსინი (fuchsine). ვერგენის აღმოჩენით ისა-
რგებლეს ძმათა რენარებმა (ლიონში) და შემოიღეს ხშარებაში
ცრცლად ეს საღებავები. დღეს კი ხელოვნურ საღებავების ფა-
ბრიკაცია (ღამზადება) ისე გავრცელდა, რომ კეთდება ყოველ
წლისთვის 140 და 150 მილიონი ფრანკისა. ამ ხელოვნურ სა-
ღებავებს საძირკვლად დაედოთ ოთხი ნივთიერებანი: ბენზინი,
ფენოლი, ნავთალინი და ანტრაცენი, რომლებიც მზადდება სხვა
და სხვა ზეთების, უმეტესად კი ნავთის ლექიდგან, ფისიდგან
და კუპრიდან, რაბიც წინად იყვნენ ტყუილად უსარგებლოდ
ქარხნებში, სწამლავდენ და ამყრალებდენ ჰაერს, სვრიდენ იქა-
ურობას, არ იცოდნენ კი რა ეყოთ ამ დანარჩენ მასალისათ-
ვის. ამ ოთხ ზემოთქმულ ნივთიერებიდგან, ე. ი. ბენზინიდან,
ფენოლინიდან, ნავთალინიდან და ანტრაცენიდან სხვა და სხვა
ქიმიურ მარტივ და რთულ ელემენტთა და ნივთიერებათა ზე-
გავლენით (რეაქციით) შექმნეს აურაცხელი საღებავები, მაგ:
ალიზარინი, საფრანინი, ანილინი, დიფენამინი, ფიტრონინი, რუაჟ-

გონგო, ზენზო, პურპურინი, რევიეჭინი, გროცეინი, ბორდო, ამა-
რანტი, აზო-ბლე და სხვა და სხვა.

რაც შეეხება აბრეშუმის შეღებებას, იგი ხდება ისევ ზე-
მოთქმულ აუზებში, რომელშიაც ხსნიან საღებავს, და რომელ-
შიაც აბრეშუმს ჩაჰკიდებენ ჯოხით. გარდა ამისა არსებობს ამ
უამაღ მშვენიერი საღებავი მანქანა პ. კორრონისა, (Machine à
teindre en flottes de M. Corron). მაგრამ საღებავის როლი
მით არ თავდება, რომ მხოლოდ ფერი მისცეს. ფერთან აბრე-
შუმს უნდა მიეცეს ელფერი, ელვარება, სიმსახურე (élasticité),
სინაზე, სინარნარე და სხვა გბრეშუმის ღირსებანი. ამ შემთ-
ხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს საღებავის ღირსებას, წყალს,
მანიპულიაციას და მეტადრე ერთვარ საჭიმავ მანქანებს, რო-
მელთა შემწეობით აბრეშუმი იჭიმება და ეძლევა ის ზემოხსეუ-
ნებული ელვარება-სინაზე. ამ გვარ მანქანას უწოდებენ შევი-
ლეჭის (chevilleuse). შევილეჭის შემდეგ აბრეშუმს ატარებენ
კიდევ მეორე მანქანაში, რომელსაც ეწოდება ეტირეზ-ლის-
ტრეზი (etireuse lustreuse) და რომლის დანიშნულებათ მის-
ცეს ფერს მეტის-მეტი კაფი და ელვარება. მას შემდეგ აბრე-
შუმს ჰქონენ და აშრობენ სეშუარში (საშრობ თახეში), რო-
მელიც მუდამ ბნელია და საოცარი სუფთა.

მაგრამ გარდა დართული-დაურთველი ძაფისა ტეინტურში
ხარშვენ და ლებვენ გამოუხარშავ აბრეშუმის ქსოვილებსაც
ანას ხშირად ჩადიან წმინდა ქსოვილებისათვის; რაღაც, რო-
გორც ვიცით, გამოუხარშავი ძაფი (რომელშიაც წებოა) ბევ-
რად უფრო მაგარია, ვინემ გამოხარშული, ამიტომ, რომ ძაფი
არ დაუწყდეთ წმინდა ნაქსოვისათვის, ჯერ ქსოვენ მათ და მე-
რე; რა გვარადაც სურთ, ისე ხარშვენ და ლებვენ. მათი ოპე-
რაციებიც (ხელობა) იგივეა, რაც უბრალო ძაფისათვის; იგივ-
თბილი ან ცხელი სოდიანი ან საპნიანი წყალი, იგივ საღება-
ვები და სხვა; მხოლოდ ჭირნის ნაცვლად ნაქსოვებს ჰკიდებენ
აუზებში ხის ცილინდრებით; და შესაღებავად და საჭიმავად.

არის აგრეთვე მოგონილი განსაკუთრებითი მანქანა, რომელსაც ეწოდება ფარჩეულის საღებავა მანქანა ბ. ჭრალნისა. (Machine à teindre en pièce).

IX

ტისაჟი ანუ ტენისა

ამა გადვიდეთ ტისაჟზედ. აბრეშუმის ინდუსტრიაში ყველაზედ უპირველეს ნაწილს წარმოადგენს ტისაჟი, იგი ამასთანავე ყველაზედ უფრო სამნიშვნელოა, მაგრამ სამწუხაროდ მისი აღწერა უსურათოდ ფრიდა ძნელია; ერთჯერ თვალით ნახვით, ან სურათებით ადამიანი ერთი ათად გაიგებს, ვინემ ვრცელი აღწერით, მიუხედავად ამისა ვეცდებით მაინც გავაცნოთ მოკლედ მკითხველს ევროპის ქსოვა.

აბრეშუმის ქსოვა ევროპაში წინად. იყო ფრიად სადა, იგი სულ ერთიან გადმოლებული იყო აღმოსავლეთიდგან (ე. ი. აზიიდგან), უმეტესად ჩინეთიდგან, ინდოეთიდგან და სპარსეთიდგან. ყველაფერს აკეთებდნენ ხელით და უბრავით მანქანებით (საფეიქროებით). დღეს კი ტეხნიკურ მეცნიერების საშუალებით ევროპის გენიოსობამ შეჰქმნა აურაცხელი მექანიკური მანქანები და მით ერთიან გარდაქმნა და გააძლიერა ტისაჟის ინდუსტრია.

როგორც წინად ვსთქვით, ტისაჟი შეიცავს რამდენიმე ნაწილს, რომლებიც ისე გართლულდენ ამ უამად, რომ წარმოადგენენ განსაკუთრებულ ინდუსტრიებს; პირველი ნაწილი ტისაჟისა შეიცავს შენისა და ტრამის დამზადებას, ე. ი. ქსელისა და ჩასაქსოვის დამზადებას, მეორე — სურათებისა და კარდონის (მაყალი) მომზადებას. სხვა და სხვა სახეებისათვის, მესამე — თვით-

ქსოვას და შეოთხე ნაწილს კი ეძახიან ფინისაჟს (finissage) დაპრეტს (apprêt) ე. ი. ფარჩეულობის გაწინენდას და გაუთოვებას:

ტისაჟის პირველ ნაწილში შედიან ა) დევიდაჟი (ანუ ძაფის ლოტრებზედ დახვევა), ბ) კანეტაჟი, ანუ ძაფის კანეტებზედ (გასრაზედ) დახვევა, გ) ურდისაჟი ანუ დაქსელვა, დ) პლიაჟი, ანუ ქსელის რვილაზედ დახვევა.

შევეხოთ მოკლედ.

ა) დევიდაჟი. საქსოვად დამზადებული, გამოხარშულ-შელებილი ან გამოუხარშავი ძაფი შულოებიდგან გადაქვთ ლოტრებზედ ერთგვარ მანქანით, რომელსაც ჰქვია დევიდუარი (devioler ou mécanique à déviber). დევიდუარი ორ გვარია—გრძელი და მრგვალი. გრძელს ხმარობენ დიდ ქარხნებში; რგვალს კი პაწია ატელიმბში (სახელოსნოებში). მასთან ცდილობენ, რომ ლოტრებზედ დახვეული ძაფი უნდა იყვეს ფრიად თანასწორი და თან ერთი და იგივე სიგრძისა; ამისათვის ხმარობენ ერთგვარ მანქანას, რომელსაც ჰქვია შესასწორებელი მანქანა (machîne à dôtrancaner).

ბ) კანეტაჟი წარმოადგენს მასრებზედ დახვევას: მაქოებით ჩასაქსოვ ძაფს ლოტრებიდგან ახვევენ მასრებზედ (ლერწმის ან ბზის ხის პაწაწა ლულებზედ) რომლებსაც შემდეგ სდებენ მაქოში. მასრებზედ სახვევ მანქანას ჰქვია კანეტიერი (cannetière).

გ) ურდისაჟი—ეწოდება ქსელის დამზადებას. ამისათვის იღებენ ლოტრებზედ დახვეულ და საგანგებოდ არჩეულ ძაფს, რომელსაც ეძახიან ორგანსენს. ამ ლოტრებს 40-დან ვიდრე 200-მდე და მეტს ამაგრებენ ერთ ფართოსა და გრძელ დაფაზედ (ფიცარზედ), რომელსაც ეძახიან კადრს (cadre). აქედგან ძაფები გათიან რკინის ან ჭიქის რგოლებში, შემდეგ სავარცხელში და ეხვევიან დიდს რვილაზედ (კილინდრაზედ), რომელსაც ეძახიან ტამბურს. მასთან ცდილობენ ისე რიგად დაახვიონ და დააწყონ ძაფები, რომ ყოველი ძაფის მონახვა სწრაფად შეიძლებოდეს. ამას დიდი შეზვნელობა აქვს ქსოვა-

ში ძაფის გაწყვეტის დროს. ამ ქსელის დამზადებელ მანქანას ჰქვია ურდისუარი (ourdissoir). იგი ბევრი სისტემისაა; უმთავ-
რესად ცნობილია ორი სისტემა: სალიერის ურდისუარი და დიე-
ჯერიშისა. ურდისუარს ამუშავებენ ხელითაც და მექანიკურ
ძალითაც.

ღ) ჰედაჟი. შეიცავს ქსელის პატარა რვილზედ დახვევას და მით საქსოვად დამზადებას. ქსელს ახვევენ რვილზედ ან პირდაპირ ტამბურიდგან, ან არა და ტამბურიდგან ქსელს ახ-
ვევენ ჯერ მურგვად, შემდეგ მიაქვთ სხვა სპეციალურ სახე-
ლოსნოებში და შლიან ამ მურგვებს და შესაფერის მანქანით ახვევენ რვილზედ.

მეორე ნაწილი შეიცავს სურათების და მაყალს (კარდო-
ნის) მომზადებას ანუ უკეთ—საქსოვ სახეების შედგენას. მკი-
თხველმა კარგად იცის, რომ ყოველგვარი ქსოვილი წარმოა-
დგენს ორს უმთავრეს ტიპს: უსახოს და სახანს; პირველი ფრი-
ად სადაა და მარტივი, მეორე კი მეტად თუ ნაკლებად რთუ-
ლი. ჩეენ ვიცით, რომ კაცის ესთეტიკურმა გემოვნებამ ანუ
უკეთ გრძნობებმა წარმოშობეს ქვეყნად ყოველივე ხელოვნება
და მასთან ქსოვის მოგონებისთანავე ადამიანი ცდილობდა მი-
ეცა ნაქსოვისათვის სხვა და სხვა სახე, ფერი და მით დაეკმა-
ყოფილებია თავის გემოვნება. თავდაპირველიდ მხატვრობის და
ქსოვის ტეხნიკის განუვითარებლობის გამო. ნაქსოვთა სახეებიც
იყვნენ მარტივნი და უშნონი. დღეს კი ეს თრი დარგი ისე
განვითარდა, რომ მაგ. ევროპაში არამც თუ შეუძლიან მოქ-
სოვონ. შესანიშნავ სინამდვილით და გემოვნებით ყოველგვარი
ყვავილები, ცხოველები და მცენარეთა სახენი; არამც თუ ქსო-
ვენ საოცარის სინამდვილით ადამიანის გამოჩენილ კაცთა სა-
ხეებს, არამედ უმაგალითო ხელოვნებით გამოჰყავთ. ქსოვილ-
ზედ უუძნელესი პეზაჟები, უუნაზესი და უურთულესი მხატ-
ვრობანი (შე-დევრები) თავის ყოველივე ფერადებით და ნიუ-
ანსებით. ამ შემთხვევაში საფრანგეთის (ლიონის) ხელოვნებამ

გადააჭარბა ყველას და მსოფლიო ტისაუში ქარისირა უპირველესი ადგილი.

დღეს ხალხში განვითარებასთან თურიად განვითარდა და გართულდა მუშტრის გემოვნებაც; ამიტომ ტისაუის დიდ შექარხნებს ჰყავთ განსაკუთრებითი სპეციალისტები, რომელთა შორის ერთი იგონებს ათას გვარ, სახეებს (მოთხოვნილების გამო) და ხატავს, მეორეს გადააჭვს იგი კანვაზედ, მესამე კითხულობს ამას და გადააჭვს მაყაოზედ, მაყაოს-საჭრელი მანქანის საშუალებით; მეოთხე და მეხუთე მართვენ საფეიქროს (მეტიეს) და აბმენ ქსელს; მეშვიდე, მეშვე და მეათე კი ჰქმოვენ, სწმენდენ და აუთოვებენ ფარჩეულს და სწავა, ასე რომ თითქმის ყოველი ნაქსოვი გაივლის ხოლმე რამდენიმე კაცის (სპეციალისტის) ხელში და ბოლოს შვენივრად დასრულებული ამკობს მაღაზიებს და იტუუებს მუშტრის თვალს. მესამე ნაწილი შეიცავს თვით ტისაუს (ქსოვას). მქსოველს ეძახიან ფეიქანს (კანიუ—canut), საქსოვ მანქანას კი საფეიქროს (მეტიე). თავდაპირველად ეს მანქანა ევროპაში იყო ფრიად შარტივი (აზიელი); იგი შესდგებოდა ტგიმილგან, სავარცხლილგან, შაქოდგან და ლაფათინიდგან (laffant). თვითო მანქანას უნდებოდა ორი ან სამი კაცი ან ქალი. დღეს კი უკარდს გენიოსურმა მოგონებამ, თუმც გაართულდა და განავითარა მანქანა, მაგრამ მუშა ხელი თითო მანქანაზედ შექმენირა. იმავე ზროს მათი მუშაობა გარდაქმნა ორ-სამებრ უფრო ნაყოფიერად. ეკარდის, ამ უბრალო ლიონელ მუშის, შაგრაშ გენიოსის მოგონება გამოისახება ლისების და საფეხურების (მარშებს) შეცვლაში; მათ მაგრერ ამ საუკუნის დამდევს უკარდმა მოუწყოდას ტბლი მაჭარ, რამელიც ფრიად ააღვილებს მუშაობას. და მეტადჩე სახიან ფარჩეულის ქსოვას. თვით უკარდის გამოგონებას კიდევ მეჩვიდმეტე მეტკრამეტე საუკუნეში მოუმზადეს ნიადაგი გალანტიერ, შლაშმა, ბეშონმა, ფალკონმა, პრინსონმა და ვერზიერ, რომლებმაც თავთავის შერიც შეიტანეს

ცვლილება და გაუმჯობესება პირველი პერიოდის შემდეგ არის მიტიული. სა-
ფერქო და რომელთა სუნთქმის უნდა იყვნეს დავიწყებული
აბრეშუმის ისტორიაში.

დღეს ფაკტიდის მიყაო შესცვალეს (გაათხელეს) და გაა-
უმჯობესეს უკრძალული წინსენზემ. ამას დაერთო კიდევ ფაკ-
ტის სისტემას მექანიკურ მანქანუბის მოვლანება (სხვა და სხვა
სახისა), რომლებიც მოქმედებენ მექანიკურის მაღით (ორთქ-
ლით, გაზით ან ელექტრონით) და ჰუმინიან მ—4-ჯერ მეტი,
ვიდრე ხელის მანქანა. მასთან ორ მანაქანას თამამიდ ამტეავებს
ერთი ფეიქარიჭრითაც დიდი უკონომია ხდება. მუშა ხელში;
ასე რომ ამ ბოლო დროს მექანიკური მანქანები უფრო და უფ-
რო შემოდიან ხმარება ში, სჯობნიან ხელის საფეიქროებს, ხდე-
ბიან დიდ ფულიან ბურუუების საკუთრებად დიდ ჭარბნებში,
რომლებიც ფარჩეულობის გაიაფებით და მეტოქეობით აღმტა-
კებენ და სპობენ წვრილ მოხელეთ. მასთან ცნობილია, რომ
ხელით მოქსოვილი ფარჩეული სჯობია მექანიკურად მოქსო-
ვილს, თუმც ეს უკანასკნელი ბევრად უფრო იაფია, და დღე-
მდე ეს მექანიკური მანქანა ვერაა გაუმჯობესებული, რომ
იმისთანა კარგი ფარჩა მოქსოვილს, რომ ხელით ნაქსოვრდგან
არ განირჩეოდეს. ამიტომ არიან მრავალო ძვირფასი ფარჩეული,
რომლებიც იქსოვებიან მხოლოდ ხელით და ლირს თვითო ად-
ლი (მეტრი) რამდენიმერისი და აჯასი ფრანკი.

როგორც ესთქვით, საერთოდ ფუნქციულობა იყოფა ორ უმთავრეს ტიპიდა: უნდა დღი თვას სონებდ, ე. ი. სადათ და სახისწიდა. უარიდა ამხანა საზოგადოდ უნის ქსოვი არის თოხვარი: ტაფტა, სკოუპა, საჩუნავ და ხდევილი.

1) ტაფტას ანუ სწორი ქსოვილი, ყველაზედ უფრო მარტივია, ამტკიცებულია გვიგვილი ყველაზედ უძველესი ტიპია ტაფტას ქსოვის დროს რიგ-რიგით ქსელის ნაწევარი ნაწილი დარის ძირით ნახევარით უფრო უძველესი ტაფტას რიგ-რიგით უძველესი ტაფტას მაგალითად ჩვენი დანართი ევროპაში ამ სტატემის

ოდნავ შეცვლით, ჰქმნიან სხვა და სხვა ქსოვილებს, მაგ.: ოფლა-
რანსი, მარსელინი, გროდეზენდი, გროდეტური, გროდორანი, პულტ
დე-სუა, ფაი, კრეპი, პოპელიონი, გაზი და სხვა.

2) სერუე ეწოდება ალმაცერად ნაქსოვს. მისი სახე შე-
ცვება 3—12 ძაფამდე. სერუე წარმოადგენს უფრო ლამაზ სა-
ხეს, ვინემ ტაუტა. სერუე ვარიაციით (ოდნავ შეცვლით) წა-
რმოიშობენ მრავალი სხვა და სხვა ქსოვილნი, მაგ. პატავია,
ჯეგანტინი, ვიუონი, რა-დე-სენ-მორი და სხვა.

3) სატენი ანუ ჩვენებურად ატლასი ფრიად ნაზი და ლა-
მაზი ქსოვილია. იგი ფრიად ბრწყინვალეა, თუმც არაა ისე გამ-
ძლე და მაჯარი, როგორც სერუე და ტაუტა. სატენის სახე
იქსოვება 5-დან 64 ძაფამდე. სატენის სხვა და სხვა ვარიან-
ტით შეადგინეს შემდეგი ქსოვილები: სატენ ალარენ, სატენ
პრენსეს, სატენ დიუშეს, სატენ მერეეი, ალსიონი, რადამესი და სხვ.

4) ხაკერდი თავისთავად არ წარმოადგენს რაიმე განსაკუ-
თრებულ ტიპს. მისი ქსოვა დამყარებულია ან ტაფტაზედ, ან
სერუეზედ, ხოლო მისი შენი (ქსელი) ორფაა: ქვედა შეიცავს
ძირის (ქვედა პირს) და ჰქმნის პიესს; ზემოთ კი ბევრად უფრო
გრძელია და ჰქმნის ხავერდს ან პუალს ხავერდის ქსოვის დროს
ზემოთ პირზედ, ყოველ ორ-სამ და ანუ მეტი ტრამის გავლე-
ბის შემდეგ ქსოვილს უყრიან ხელით რკინის ან სპილენძის
მოგძო წვრილ წკეპლას, რომლის პირა ოდნავ ღარიანია და
ზეიდან გაუსმენ ხოლმე ფრიად ბასრ ფოლადს (დანის მზგავს),
რომელიც სჭრის ძაფს, ჩონჩავს და ჰქმნის იმ ხაოს, იმ ლბილ
ლამაზ სახეს, რასაც ეძახიან ხავერდს. თუ ვინიცობაა შეულ-
ვეს წკეპლები და არ გასჭრეს კი, მაშინ გამოუვათ მეორე გვა-
რი ქსოვილი, რასაც ეძახიან ველურ-ფრაზეს. პლიუშიც (pelu-
che) ისე იქსოვება, როგორც ხავერდი, მხოლოდ მისი წკეპ-
ლები უფრო მომსხო და მაღალი. ევროპაში პირველად ხავე-
რდის ქსოვა შემოიღეს იტალიაში და მეთექვსმეტე საუკუნეში
გას ვხედავთ უკვე ლიონში.

რაც შეეხება ფასონეს იგი წარმოადგენს სახეებიან ნაქ-
სოვს და იყოფა შემდეგ ჯგუფებად: ტაფტა-ფასონე, დამა, სა-
ტენდამე, დროგე, ბროკარ, ბროკატელ და სხვა.

ა) ტაფტა-ფასონე შეიცავს ყოველივე სახიან ფარჩეულო-
ბას, რომლებიც დამყარებულია ტაფტაზედ.

ბ) დამა წარმოსდგება სატენის ორ შეერთებულ არმიუ-
რიდან. დამას ფონი (მიწა) ბრწყინვალე სატენისაა, სურათები
კი ლიბერია (mat), რომელიც წარმოსდგება ტრამიდგან.

გ) სატენ-დაშე ანუ ლამპას იგრვე დამა, მხოლოდ სახე-
ების ფერები სრულიად ეწინააღმდეგება ფონის ფერს და ამ
რიგად წარმოსდგება მეტად, მბზინავი და მოელვარე ქსოვილი.

დ) დროგე ერთ გვარი ფასონეა, რომლის სახეები ხავე-
რდოვანია.

ე) ბროკატელი ეგრეთვე ჰამაა, რომლის ტრამია ტლანჭია
და სელისაა, რის საშუალებით სატენის სურათები შესამჩნევად
ამობურცულია და ბრწყინვალე.

ვ) ბროკარი ანუ ჩვენებურად ოქრომკედი და ვერცხლის
მკედი. ამ გვარ ფარჩეულში ჩაქსოვილია ოქროვანი ან ვერც-
ხლოვანი ძაფები. (ამ გვარ ქსოვილთ ხმარობენ უმეტესად ეკ-
კლესიებში და მღვდელთა სამოსლად). გარდა ამისა ღრიონში
ჰქსოვენ ეგრეთვე ლეჩაქებსა (ვუალს, ტიულს), სანტ-ეტიენში
— ლენტებს და პარიზში — არშიებს (dentelles).

როგორც წინად ვსთქვით, საზოგადოდ ფარჩეულს ქსო-
ვენ, როგორც გამოხარშულ დამზადებულ ძაფით, ეგრეთვე გა-
მოუხარშავით, რის შემდეგაც ხარშვენ და ღებვენ მას, ან არა
და ბეჭდვენ ზედ ხელით ან მექანიკით სახეებს და მით აკეთე-
ბენ იაფ-ფასიან ფასონეს მავვარებს. ამ მანიპულიაციას (ხე-
ლობას) ეძახიან ფინისაჟს (finissage).

აპრეტი. პირ და პირ საფეიქროდან გამოსულ ფარჩეულო-
ბას, რაც უნდა კარგი ნაქსოვი იყვეს, მაინც იკლია სინაზე,
სიწმინდე, სიმსახრე და სიელვარე. ყველა ამ თვისებათა სის-

რულის მისაცემად კარსებობს. ცალკე ქარხნები, საჭდაც ფარჩეულს ავლებენ. მრავალ მანქანებში, აუთოვებენ, აღუნებენ, ჭიმვენ, ტრუსვენ ზეითა ხაოს, ან ასწორებენ და სხვ. ამ რიგად, უმატებენ და აძლევენ სინაზეს, სინარნარეს, სიმსახრეს, სიწმინდეს და ელვარებას. მზალია ამ მანიპულაციას, ეწოდება, აპრეტიზი მისი უმთავრესი ნაწილებია სილინდრული, გრილი, როლისაჟი, ანგოლა ანგოლაჟი ანუ გომაჟი, გოფრაჟი და მუტრაჟი.

ა) სილინდრული ანუ დაუთოვებათ ფარჩეულს გაატარებენ, ხოლმე ურსებურვალე ლითონის, რეილს, შუა, რიცხვ საშუალებით ნაქსოვი უთოვდება, ილებს. თანასწორობას, სიმსახრეს, (souplasse), ზემო პირი უსუფთავდება და ხდება პრიალა. ამ საუთოვებელ მანქანას ჰქვიდე კალანდრი, calandre ou cylindre à chaud à deux rouleaux).

ბ) გრილი (შეტრუსვა). დარჩაჟაჟი (გაპარსვა). ფარჩეულს ავლებენ ერთგვარ მანქანაში საღაც გაზის ალის უეცრივი გატარებით იტრუსება იგი და შორდება. ზედმეტი ბეჭვები, ან არა და მჭრელ სამართებლივთ იპარსება ის ბეჭვები და ხაო. ამ რიგათ ნაქსოვი ხდება უფროს სუფთა და ლამაზი, ამ მანქანას ეძახიან სატრუსტოან საპარს, მანქანას (Machine à griller à deux rampes),

გ) როლისაჟი ანუ რილება, ფარჩეულს ატარებენ ერთგვარ მანქანაში, საღაც ფოლადის ბასრი, ტანები სწორებენ, მას დათპრიალებენ მეტად.

დ) ანგოლაჟი ანუ გომაჟი (გაწებვა). როლის სურდ რომ ზოგთერთ თხელ დამუსწორო ფარჩეულს მისცენ სისქე და თანასწორობა, მაშინ მათ უსმენ პარაფინიანს, სტეარინიანს, ან რაიმჭ მსუქანიან ზაფლის სანთლოვინ ნევოლერებას შემდეგ აშრობენ და უსმენ, რასაც გრილის გრილისაჟი, ამ რიგად ფარჩეულის ქედება და ხდება ფრიად მოელვარე. ამის მანქანას ჰქვიდე საწებავო მანქანა (Machine à gommer).

ე) გოფრაჟი ანუ სახეების აღეჭვდება უსახო ნაქსოვი, გამ

ტარიბენ ორ რვილს შორის, რომელზედაც სახეებია ამობურ-
ულია მოუკერენ მაგრად, რის გამო ის სახეები ჩაეჭირება და
მიფ აღიბეჭდება ფარჩეულზედ.

ვ] მუალაური. ეს ფრიად საინტერესო მოგონებაა. ამისთვის
არსებობს ორ გვარი ან სამ გვარი მექანიკები (Machine à ap-
prêter à la râçle machine à élargir et machine à déro-
mpre). ფარჩეულს გაატარებენ მათში, მოუკერენ ჭლიერ, რი-
თაც მოტემკებნ ძლიერ ტრამის ძაფს, დაღურვენ თითქო, აათა-
მაშებენ სხივებს და მით მისცემენ ნაქსოვს მრგვალს ან გძელ
მოელვარე ბზინვარებას, რაიცა ახდენს ფრიად მომხიბლავ
ეფექტებს.

X

საზოგადოდ ფარჩეულის ქსოვამ ევროპაში გამოიწვი ათხი
ხანა. სულ პირველი ხანა იყო აზიანა ანუ ჩინეთისა, მაგრამ ის
არა გვაქვს მხედველობაში ამ უძმად. ევროპაში კი პირველ ხა-
ნად ითვლება ბიზანტიის ქსოვილებანი, შეორე ხანად ანაბებისა,
მესამე ღრაფიისა და მოოთხე საფრანგეთისა. ეს უკანასკნელი
თავის განვითარებით, სიფაქიზმუსიმშვენიერით, ხელოვნებით,
მხატვრულებით, სინაზით და ფრანციულ მოხდენილ გემოვნებით
დგას გაცილებით ყველაზედ მაღლა, ჰეიბლავს მთელს ქვეყა-
ნას და დაიწასახურა მსოფლიო ყურადღება. მთელი ლიონი,
ეს უძთავრესი ცნობრო საფრანგეთის შეაბრეშუმეობისა, სავსეა
შვენიერ და შეუდარებელ ფარჩეულობით. სხვაფა შორის აქ
არსებობს განსაკუთრებითი დიდებული მუზეუმი ფარჩეულისა-
თვეს (Musée d'art et d'industrie, dans le Palais de com-
merce), სადაც ჯვამიყოფილია და შვენიერ რეგზედ დაწყობი-
ლი ევროპაზიონ კის წრობლებს, რომელიც ადამიანის ხელში
გარდაქმნებლა შვენიერ ძაფად და ქსოვილებად, მზეო ამ ადა-

მიანის ფანტაზიას, გემოვნების და ხელოვნების ტურთა ნაყოფს, ოცდები და თან თითქო კითხულობ ერთ დარგში მთელ კა-კობრიობის ესთეტიკას, კულტურას და გემოვნების ევოლუციას.

1) ბიზანტიის ხანა. ევროპის ფარჩეულობის ტიპი ანუ ბი-ზანტიის ხანა განირჩევა მომსხო ქსელით ლბილი ტრამით; ნა-ქსოვი სახეები კი ტლანქია. ქსოვილების სახეებს შეადგინენ ხშირად ცხოველნი და ადამიანნი; ზედ გამოსახულია ან ომი, ან ნადირობა, ან ცირკში ჭიდაობა. ზოგან გამოხატულია მე-ფეებიც. ცხოველთა შორის ხშირად სახავდენ ლომს, სპილოს; მარტორქას, ხოხობსა და ორბს. უფრო ხშირად იყო უსახო ქსოვილები და მათში დიდ მოწონებაში იყო პურპურით (ალის ფერის საღებავით) შეღებილები. ამ დროსვე იწყეს ქსოვა ბაბ-ბა-აბრეშუმისა, რასაც უწოდებდენ სუბსერიკას (subserica). მაშინ, როდესაც ნამდვილ აბრეშუმის ნაქსოვს ერქვა დოდო-სერიკა (holoserica). ბიზანტიაში აბრეშუმის ქსოვა იწყება მე-ოთხე საუკუნიდგან ქრ. შემდეგ და აღის მერვე საუკუნემდე.

2) არაბების ხანა იწყება მერვედან და აღის მეთოთხმეტე-მდე. იმართება შესანიშნავი საფეიქრონი არაბთა მიერ დაპუ-რობილ ქვეყნებში; უმთავრესად ესპანიაში და აფრიკაში. ური-ის ვაჭრები მათ ნაქსოვებს ავრცელებდნენ თითქმის მთელს ევროპაში. ამ ხანის ქსოვა უფრო განვითარებულია. ნაქსოვე-ბი უფრო ნაზია, რთული და სხვა და სხვა სახიანი. თვით სურათებიც ბევრად უფრო ლაზათიანი და აღსრულებუ-ლი. აქვე ვამჩნევთ ოქრომკედებს და ოქროქსოვილებს, აგრე-თვე მშვენიერ ატლასებს. სახეთა შორის ამ ხანაში სკარბობს ათასგვარი ხაზები და გეომეტრიული ფიგურები, უვავილები და ფოთლები; ცხოველთა შორის კი ხშირად სახავდენ ლომსა და არწივს. უოველივე ასრულებულია მშვენიერის ხელოვნებით.

3) იტალიას ხანა. იტალიის ფარჩეულის ხანა იწყება მე-ცამეტე საუკუნიდგან და თავდება მეთვრამეტეში. იგი აღის უმაღლეს წერტილზე მე-16—17-ტე საუკუნეში. ამ დროს

შთელი ევროპა ითვისებს იტალიის გემოვნებას და თხოულობს მის. შვენიერ ფარჩეულს. საფეიქროთა უმთავრესი ცნობრი იყო: ლუკა, ფლორენცია, გენუა, კენეფია და მილანი. მსოფლიო მოვლენებმა ე. ი. არაბთა იმპერიის დაფუშვამ, ბიზანტიის დაცემამ, ოსმალთა ომებმა და დაპყრობამ დასცეს არაბთა სააბრე-შუმო ინდუსტრია და მოუმართეს ხელი იტალიის პერიოდის აჰევავებას. თვით ნაქსოვებშიც დიდი პროგრესი დაეტყო იტა-ლიელთ; მათ ფარჩეულში ჭარბობდა ტაფტა, ატლასი, დამა და ხავერდი. ფასონე ფარჩეულებშიც შექმნეს. ახალი გემოვნება და ორიგინალური სახეეები, მიატოვეს ნელ-ნელ ბიზანტიელ-თა და არაბთა წაბაძვა, მოიშორეს თავიდგან ცხოველთა მცე-ნარეთა და გეომეტრულ ფიგურათა გამოსახვა და შეირჩინეს მხოლოდ ვაზის და მწერის ფოთლების დახატვა. მათ სურათე-ბის უმთავრეს მოტივს წარმოადგენდა. რელიგიური სცენები, რომლებსაც ხატვიდნენ საოცარის ხელოვნებით, ასე რომ იტა-ლიის მოხელენი და ფეიქარნი შეიქმნენ დიდათ დაფასებულ-ნი საფრანგეთში და ინგლისში. გამეფდა ყველგან იტალიის ხელოვნება. ეჭვი არაა, მთავარი მიზეზი იტალიის ფარჩეულის და ქსოვილთა განვითარებისა იყო თვით იტალიის რენესანსი და სულის გაღვიძება. აქვე საჭიროა შევნიშნოთ, რომ ბ. პა-რიზეს სიტყვით არაბი და იტალიელნი ყიდულობდნენ აბრე-შუმს თავის ქარხნებისათვის აგრეთვე საჭართველოდგან.*)

4) საფრანგეთის ხანა. თუმცა აბრეშუმის ქსოვა საფრან-გეთში დაწყო ისევ მეთორმეტე-მეცაზეტე საუკუნოებში, მა-გრამ პირობანი არ უწყობდნენ ხელს მის განვითარებას. იგი ძლიერდა სუნთქვდა და ბობლინებდა; იტალიამ ხომ სულ სუ-ლი შეუწუხა და დასუსხა ერთიანად, თუმცა საფრანგეთის მე-ფენი, მაგ. ლუი XI-ტე ძლიერ ცდილობდა ფარჩეულთა ქსო-ვის გაძლიერებას ლიონში და ტურში; თუმცა გამოიწერა მან მრავალი იტალიის მოხელენი, მაგრამ ვერაფერს გახდა. შემდე-

*) Pariset: „des industries de la soie“, p. 200, 201.

გი მეფეებიც, როგორც ფრანსუა I, პარის IV და მდგრან გამოჩენილი მინისტრი კოლექტი ძლიერ მფარველობდნენ საფრანგეთის ფეიქრებს და ცილილობდნენ აეყვავებიათ ფარჩეულის ინდუსტრია ლინქში, ტურში და ნიმში. მათი შრომა და მეცნიერება არ დარჩა უნაყოფოდ. ამ ქალაქებში გაიმართა კარგი საფეიქრონი, მათ შოტის ლიონშა იმ თავიზვე დაიწირა პირველი აღგვლი თავის ინდუიატურ ნიჭით და ორიგინალურ გემოცნებით. ამ დროს ევროპის ისტორიულში მოვლენებში შეცრწყვეს ხელი საფრანგეთის მეაზრე შუმინდას. დაუცა ნელ-ნელ საყოველთაოდ იტალიის პირველობა და დიდი მნიშვნელობა, მას ჩამოერთვა აღმოსავლეთთან ვაჭრობა. ინგლისმა საფრანგეთმა და ჰერლანდიამ გააცურეს თავიანთი სავაჭრო გემები ზღვებსა და ოკეანებში და დაიპყრეს მრავალი გარეშე ბაზრები. საფრანგეთის აბრეშუმის ინდუსტრიას გაეხსნა გზა მას დაერთო დანგონის (ფრანციელი) შესანიშნავი გამოგონება ერთგვარი მანქანისა (grande tire), რითაც აღვილად ბეჭდავდა ნაქსოვებზედ უუდიდეს და უურთულეს სურათებს; ამას მიემატა ფრანციელთა გალანტიეს, ბლანშის, ბუშონის, ფალფონის, ვერზიეს და პონსონის მიერ საფეიქროს სხვა და წხვა ნაწილების გაუმჯობესება და ქსოვის გააღვილება უკარითის გენერალურმა მოგონებამ ხომ დააგვირგვინა და გააბატონა საყოველთაოდ ფრანციელის ხელოვნება და ფარჩეულობა! ამ რიგად საფრანგეთის პოლიტიკურ დიდებასთან, კულტურულ და სიკურიტურ განვითარებასთან ვითარდება ფარჩეულის ინდუსტრიაცია თვით ქსოვის ტეხნიკამ და სურათების გამოსახუმ წარსდგეს დიდი ნაბიჯი იტალიის რელიგიური, სურნები აქ შეიცვალენ ბუნების სურათებით. ფრანციელის ცენტრალურ ფარგლების ინდუსტრიაცია თვით ქსოვილებზედ დასახეს დამატებ მცუნარენი, პარიზ ბუჩქები, ფოთლები, ყვავდლები, ჯაგულები და სხვა მეორები სუკუნიდან ხომ სრულიად გამეფდა საყოველთაოდ საფრანგეთის ფარჩეულობა. მან დაამგრცხა თვეის მოსისხლე, მცური იტალია.

ამან მიატოვა თავის ბრძოლას საოცარი სინაზე, სინარნარე და ცელქური, ფავ-ქეიფა ფან-ტაზია, იდიალური სურათები და შემვენიერი ხელოვნება ახასიათებენ ამ საუკუნის საფრანგეთის ფარჩეულს. რიველის მოგონებამ ხომ კიდევ უკეთ გააუმჯობესა სურათების დასახვა. მისუა მათ ჩრდილ-ნათელი, ელფერი და ფრიად ნაზი ნიუანსები, მეცხრამეტე, საუკუნეში-კი უკარდის და ვერდოლის შოგონებამ, ტეინტურის და მხატვრობის ტეხნიკამ და ხელოვნებამ ხომ უზენაესად აღამალლეს საფრანგეთში ფარჩეულის ფრდუსტრია, მექანიკურმა მანქანებმა ძალიან გააითეს და ჭისცეს დემოკრატიული ხასიათი ამ მხრივ პირველი ალაგი დაიჭირა ლიონმა. ეინარდის სიტყვით ლიონის ფარჩეულმა გაოცა ქეეყანა პარიზის გამოფენაზე 1889 წელს, როგორც ათას-გვარობით, ევრეჟვეზ საოცარის ხელოვნებით, სინაზით, სურათებით, ფერებით და ალსრულებით.*) ამასთან უნდა აღვიაროთ, რომ საფრანგეთის აბრეშუმის ინდუსტრიის პრაგრესი ჯერ არ დამთავრებულა, იგი ვეტარდება შესამჩნევად და მიდის წინ, საერთოდ-კი უნდა ითქვას, რომ აბრეშუმის ინდუსტრიაში შოქედებს კუთხი ფაქტორი: სელლუნგა, მეცნიერება, ინდუსტრია და ტამირცია.

XI

ახლუ განვიხილოთ შოკლედ, თუ რა მდგომარეობა შინაგან შუმის ინდუსტრია ევროპა-რუსეთ-ამერიკაში.

1) საფრანგეთი: აქათქვენ, ნახავთ ლრ დიდ ცენტრის: ლიონსა და სენტერიენსა, ლიონი მეორე ქალაქია საფრანგეთისა, ჰყავს ნახევარ მილიონამდე მცხოვრებნი და თითქმის მთელი მისი დიდება, სახელი და სიმდიდრე შესდგება ფარჩეულისაგან. წამართვით ფარჩეული ლიონსა და მისი მნიშვნელობა იკარგება. არსად არ იქსოვება ამდენი აბრეშუმი, როგორც აქე ამ მხრივ

*) „Lyons en 1889“ par M. Ed. Aynard, p. 54.

მას უკავია პირველი ადგილი, არამც თუ საფრანგეთში, არამედ
მთელს ქვეყანაზედ. აქ ქსოვენ ყოველ წლობით $3\frac{1}{2}$, მიღილნ.
კიდევაგრამ აბრეშუმის ძაფს, ე. ი. ერთ მესამედს მისას, რაც იქ-
სოვება მთელ ეკროპა-ამერიკაში. პირველად საფეიქროებს ლიონ-
ში ვხედავთ მე-15-ტე საუკუნეში. 1417-დან 1478-წლამდე
აქ არის მხოლოდ სამი საფეიქრო, 1554 კი აღის 12,000-დე;
შემდეგ პროტესტანტიზმთან ბრძოლამ, ნანტის ხელშეკრულო-
ბაშ ძლიერ დასცეს ლიონის მეაბრეშუმობა, ასე რომ 12,000
საფეიქროდან დარჩა მხოლოდ 2,000, დანარჩენი, როგორც
პროტესტანტები, გადიხვეწენ ინგლისსა და გერმანიაში, იქ და-
ბადეს და ააყვადეს ფარჩეულის ინდუსტრია. 1739 წელს ლი-
ონში საფეიქროთა რიცხვი აღის 7,500-დე, სადაც მუშაობები
48,500 კაცი და ქალი. 1753 წელს იქ არის უკვე 10,000
საფეიქრო და 60,000 მუშანი. 1787 წელს 18,000 საფეიქრო
და 80,000 მუშა, მაგრამ საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ
დასუსხა ძლიერ ლიონის მეაბრეშუმობა, ასე რომ 1800 წელს
ძლივს ვამჩნევთ იქ 2,500 საფეიქროს. მაგრამ უკარდის მო-
გონებამ მისცა საოცარი იმპულსი ფარჩეულის მრეწველობას
და კვლავ ააყვავა იგი ლიონში, ასე რომ 1813 წელს დაარ-
სდა უკვე 12,000 საფეიქრო, 1819 წ.—20,000, 1827 წ.—
27,000, 1837 წ.—40,000 და 1848 წ.—50,000. ამ რიგად
ხელის საფეიქროთა რიცხვი იზრდებოდა საოცარის სისწრაფით,
ასე რომ ცოტა ხანში ლიონისა და მის ახლო მახლო საფეი-
ქროთა რიცხვი ავიდა 120,000-ზედ. მაგრამ მოიგონეს მექანი-
კური მანქანები და ხელის მანქანათა რიცხვი შემცირდა. მე-
ტოქეობამ დაამარცხა ისინი, ასე რომ პერმეცელის სიტყვით
1851 წელს ირიცხებოდა მხოლოდ 100,000 ხელის საფეიქრო,
და მასთან 20,000 მექ. მანქანა. შამბრ დე კომერსის სტატი-
სტიკურ ცნობიდგან-კი სჩანს, რომ 1889 წელს ლიონში ყო-
ფილა 90,000 საფეიქრო ხელისა და 20,000 მექ. მანქანა;
დღეს-კი იქ მხოლოდ 50,000 ხელის საფეიქროს და

28,000 მექანიკური მანქანა.*)

მექანიკურ მანქანების მოგონებამ დალუპა და სული შეცწიუხა წვრილ ფეიქრებს, ეს მანქანები შეიძინეს კაპიტალისტებმა (დიდფულიანებმა), ააგეს დიდი ქარხნები, გამართეს ორთქლის, გაზის ან ელეტქრონის მოტორები, მოჭკრიბეს და აამუშავეს ათასი და ათიათასი მუშები (ქალი და ვაჟი), ამ რიგად ფარჩეულის ქსოვა დაიჯინეს იაფად, გააიაფეს იგი შსოფლიო ბაზარზედ და მით გამოაცალეს პირიდან ლუკმა და გააკოტრეს წვრილი მწარმოებელნი, რომელნიც იძულებულნი გახდენ და ხდებიან დღესაც მიატოვონ თავიანთ ხელის საფეიქრონი და შევიდენ უბრალო მუშებად დიდ ქარხნებში; აქ-კი მუშები შრომობენ დღეში 10 საათს და რამდენსაც მოქსოვენ იმის-და-გვარად ეძლევათ თითო გვარ ფარჩეულზედ გადაწყვეტილი ფასი: აქ ზომავენ მეტრაბით (ადლით). ამ რიგად ქალები იღებენ დღეში 2—3 ფრანკს, კაცები-კი 3—5 ფრანკს და მეტსაც, მაგრამ აქაურ სიძვირეში აბა რას ეყოფათ ეს ფული! ამ გვარივე სამწუხარო მოვლენა ხდება ლიონის გარდა მთელ ევროპა-რუსეთ-ამერიკაში. ყოველ წლობით ლიონის საფეიქრონი ქსოვენ თითქმის ორ მილიონ ნახევარ კილოგრამ და ზადებულ აბრეშუმს, ერთ მილიონამდე ნედლ შულო აბრეშუმს და შვიდას ათას კილოგრამ ყაჭს. მთელი ლიონის ფარჩეული საფასურით აღემატება ყოველ წლობით 400 მილიონ ფრანგს.

სენტ-ეტიენი, ესეც საკმაოდ ვრცელი ქალაქია. იგი შორის ლიონს თითქმის 100 ვერსიონ და შეიცავს 100,000 მცხოვრებთ. მისი წარმოების უმთავრესი დარგი არის ქვანახშირი. მთელზე ქალაქი ქვანახშირის მაღნებზედაა გაშენებული, რომელიც ამასთანავე არის მისი სიმღიდოს წყარო; ხოლო მასთანეე აქ არსებობს აბრეშუმის რუბანის („rubans-ლენტების“) საფეიქრონი. და ქარხნები, სადაც ყოველ წლობით ქსოვენ 200,000 კილოგრამ აბრეშუმს, ლირებულს 100 მილიონ ფრანგად.

*) Permezel: „L'industrie lyonnaise de la soie“. 1883.

2) ინგლისი. აქ ფარჩეულის ქსოვა იშტება მე-14 საუკუნიდან და ბობლინებდა ნელა; მე 17-ტე საუკუნის დამლევიდამ ეს ხელობა საკმაოდ განვითარდა ფრანციელ მოხელეთა (პროტესტანტთა) წყალობით. მე-18 საუკუნის პირველ ნახევრიდან 1860 წლამდე საფეიქროთა რიცხვი ავიდა ინგლისში 150,000-მდე, მაგრამ ანგლისში ვერ შესძლო ამ მხრივ ბრძოლა სხვა ქვეყნებთან და მეტადრე საფრანგეთის წინაშე და მის ფარჩეულის ქსოვა ძლიერ დაცუა, ხელის საფეიქროთა რიცხვი შემცირდა 50,000-მდე და მექანიკურ მანქანათა რიცხვი ზრის 12,000, რომლებიც ჰქმნიან ყოველ წლობით 150,000,000 ფრ. საფრანგეთი ფარჩეულის მიუხედავად ამისა ინგლისს შეაქვს ყოველ წლობით საფრანგეთიდან, გერმანიდან და შვეიცარიიდან 260,000,000 ფრ. საფრანგეთი ფარჩეული; ასე რომ ინგლისი თითქმის უუპირველესი მუშტარია საფრანგეთისა.

3) იტალია: როგორც ზევით ვსოდეთ ამ ქვეყანას მე 16—17 საუკუნოებში ეჭირა პირველი როლი აბრეშუმის წარმოებაში და მისი ფარჩეული იყო მოწონებული და განთქმული მთელს ქვეყანაზედ. დღეს ისე იდმარცხდა თვით სპორტული გეთანა, რომ მისი ვრცელი აბრეშუმის წარმოება შეამცირა 14 საფეიქრომდე, რომლებიც ჰქმნიან ყოველ წლობით 40—50 მილიონ ფრანგის ფარჩეულ ფარჩეულის. ფარჩეულის უმთავრესი ქარხნები და საფეიქრონი მთავარებულიშვილი. მილანში, ტურინში, ბერგამში და სხვა. დღეს იტალიაში უმთავრესი ყურადღება მიაქცია თვით მეაბრეშუმობრივ და როგორც ვიცით მრავალ ყოველ წლობით 42,000,000 კილო ჭარვი, რომლიდან ჰქმნის მშვენიერ ფილატიურებით მალიონ ჭარვაში შედგინება.

4) შვეიცარია. ეს პატია ქვეყანა ძლიერ ფრანგის ფარჩეულის ქსოვას ეს ხელითარის დაშარებული უმთავრესად 2 ქალაქში: ცენტრალში, სალაც 20,000 ხელის საფეიქროს და 4,000 შექ. ჩანქანა და მაღაზი, სალაც 11,000 საფეიქრო.

ციურის ში ჰქონდენ ჩვეულებრივ ფარჩეულს, ბააღ შიკი ლენტებს. ორივე ში ფარჩეულის წლიური წარმოება აღის 80 მილიონ ფრანგამდე. დღეს-კი ამ პარიზ ქვეყნის ფარჩეულის ფასი აღის 150 მილიონ ფრანგზედ.

5) გრემინის. ამ ქვეყანაში პრივატუმის ინდუსტრია ტაიბა-და მხოლოდ შე 16-ტე საუკუნეში. მე 17—18 საუკუნეებში იგი ფანატითანეს ფრანციელმა მხხელვე პრინცესტანტებმა, რომლებიც გარეკეს სამშობლოდგან ნანტის ელიქტის ძალით და გრძელსახლტნენცერმანიაში. დღეს ფარჩეულის ქსოვა არის დამყარებული მხოლოდ ორ პროვინციაში: პრუსიაში და ბრა-დენმარკში და მოთავსებულია ორ ქალაქში: კრიფტაში და ელბერგებულში. ამ საუკუნის დასაწყისს გერმანიაში ითვლებოდა მხოლოდ 2,500 საფეიქრო, 1880 წ. კი მისი რიცხვი ავი-და 72,000-ზედ, რომელთა წლიური წარმოების აღის ლირებით 225 მილიონ ფრანგამდე. დღეს-კი ავიდა 300 მილიონამდე.

6) ავსტრია. აბრეშუმის ქსოვა უმთავრესად დამყარებულია ბევერში, საღაც დღეს მოიპოვება 13,000 ხელის საფეიქრო და 2,000 მეტ. მანქანა, რომლებიც ჰქმნიან ყოველ წლის 55—60 მილიონ ფრანგის საფინანსო ფარჩეულს.

7) ისპანია. ამ ჩამორჩენილ ქვეყანაში ამ ეამაღ მოიპოვება 8,000 საფეიქრო, საღაც ამზადებენ 25 მილიონ ფრანგის სადარალ ფარჩეულს: უმთავრესად—კი ესპანიის მეფის სახლობა და გრანდები (არისტოკრატია) იკვეთებენ ლიონიდგან ფრიად ძვირფას ფარჩეულს.

8) ამერიკის შეერთებული შტატები აბრეშუმის ინდუსტრია-ში არც ამერიკა ჩამორჩა ეკროპას ეს ნორჩი, მაგრამ მხნე ჭრილები ქვეყანა შეიცვალა ფარჩეულშიაც თავის ძველს მეტობოლს და დღითი დღე მართავს ახალ-ახალ საფეიქროებს, ახალ სისტემის მანქანებს; მათი რიცხვი დღეს 45,000-ზედ მეტია, რომლებიც ჰქმნიან ყოველ წლივ 100—110 მილიონ ფრანგას ფარჩეულს. მიუხედავდა მასა იგი მანქანის იწერს ეკრო-

პილგან (უმეტესად საფრანგეთილგან) ყოველ წლობით 180—
190 მილიონ ფრ. ფარჩას.

9) რუსეთი. პარიზეს სიტყვით რუსეთში აბრეშუმის ინ-
დუსტრია დამყარებულია მოსკოვში, საღაც 10,000 საფეიქ-
როა, ჰეტერბურგში და ვლადიმირში. ამ ორ ქალაქში ეგრეთვე
ყოფილა 9,000 საფეიქრო და მექანიკი; სულ-კი მზადდება
ყოველ წლობით 70 მილიონ ფრანგის საღირალი იაფ-ფასიანი
ფარჩეული. აქვე საჭიროა შევნიშნოთ, რომ აბრეშუმის მოყვა-
ნა დაიწყეს შიდა რუსეთში მე 17-ტე საუკუნეში. მოპყავთ
დღეს სამს გუბერნიაში: ეკატერინესლავში, ხარკოვში და კირიშ-
ში, რიცხვით 6,000 კილოგრამი აბრეშუმი.

პერმეცელის სიტყვით მთელს ქვეყანაზედ მოპყავთ ამ უა-
მაღ და ამზადებენ ყოველ წლობით 1,500 მილიონ ფრანგის
საღირალ აბრეშუმს და ფარჩეულს; აქედან რომ გამოვქვითოთ
აზია (უმეტესად ჩინეთი და იაპონია) დარჩება 1107 მილიონ
ფრანგისა, ეს კი ნაწილდება ამ რიგად:

შემცირება	საფეიქროი	ნაწარმოები	მილ. ფრანგისად
საფრანგეთი	140,000	393	
გერმანია	87,000	225	
ინგლისი	77,000	110	
აშშ. შევრ. შტ. 45,000		105	
შვეიცარია	35,000	80	
რუსეთი	25,000	70*)	
ავსტრია	15,000	55	
იტალია	20,000	42	
სპანია	8,000	25	
სულ . .	452,000	1,107 შედებითი ფრანგი**)	

*) ამ რიგად უზარმაზარი რუსეთი ჩამორჩენია პარიზინა შვეიცარიასაც-კი.

**) L. permézel: „L'industrie lyonnaise de la soie“ 1890.

საერთოდ უნდა აღვიაროთ, რომ მთელი მსოფლიოს მე-
აბრეშუმეობა წლიურად ისახება ამ რიგად:

აბრეშუმი (ძაფი) 20.000.000 კილოგრამი (საშუალოდ).

ფარჩეული — 1500.000.000 ფრანგისა (საშუალოდ.*)

ევროპა-ამერიკის ქარხნები და საფეიქრონი ნოქავენ წლი-
ურად 10—12 მილიონ კილოგრ. ძაფს და ამზადებენ 1,100
მილიონ ფრანგის საღიანად ფარჩეულს. ერთი კილოგრამი აბრე-
შუმის ძაფი ღირს დღეს 40—60 ფრანგამდე. მოქსოვილი კი
იყიდება ერთი კილოგრამი 100 ფრანგად (საშუალო რიცხვით),
ასე რომ ქსოვილს ძაფთან შედარებით ერთი ორად მომატებია
ფასი. ამ რიგად ნახევარი მთელი აბრეშუმეული', ფასისა, ე. ი.
470 მილიონი ფრანგი ყოველ წლობით წარმოუშობია ფარჩე-
ულის ინდუსტრიის. მეორე ნახევარი ფასი კი, ე. ი. 750
მილიონი ფრანგი ეკუთვნის თვით მეაბრეშუმეობას.

XII

ბოლოს, სანამ დავასრულებდე ამ შრომას, არ იქნება
ურიგო ვსთქვათ ორიოდე სიტყვა საფრანგეთის ფარჩეულის
სკოლებზედაც.

ყველაზედ უკეთესი ტისაჟის, ე. ი. ფარჩეულის საქსოვი
სკოლები არსებობენ ლიონში.**) აუ არის სამი უმთავრესი
სასწავლებელი:

1) საქსოვი სკოლა კრუ-რუსზედ (ლიონის უბანია) (Ecole de tissage à la Croix Rousse). ამ სკოლაში სწავლა
ძლიერ კარგადაა დაყენებული, ხოლო ურანსიელთა და უმე-
ტესად ლიონელთა გარდა, არავის იღებენ. მისი კარები დაკე-
ტილია უცხოელთათვის. სწავლის ჭირაა წელიწადში 800
ფრანგი (300 მანეთი).

*.) იქვე.

**.) არის უგრეთვე ქ. სანტ-ეტიენში რუბანების (ლენტების) საქსო-
ვი კარგი სკოლა.

2) ლასალის სკოლა (Ecole Lassal). ეს წარმოადგენს ეზუიტთა სასწავლებელს და განაგებენ ეზუიტები; აქვეა ტისა-შის განყოფილება და საქმე გვარიანალაა დამდგარის რამდენად ვიცი, ამ სკოლაში სამჩ წლის კურსია და წელიწადში სწავლის ქირა ლირს 600 ფრანგი (225 მან.); უცხოელთაც შეუძლიათ შიგ შესვლა.

3) საკომერციო სკოლა (Ecole de Commerce de Lyon). ეს სასწავლებელი ერთი საუკეთესოთაგანია მთელს საფრანგეთში და იღებენ მასში უცხოელებსაც. ეს სკოლა შესდგება სამს განყოფილებიდან: პირველს ეწოდება მთსამზადებელი კურსი (Cours préparatoire), გრძელდება მხოლოდ ერთ წელიწადს და სწავლის ქირა არის 500 ფრანგი (188 მან.). აქედან შეუძლია ყმაწვილს გადვიდეს ან ტისაჟის ნაწილში ან საკომერციოში. მეორე არის საკომერციო განყოფილება (Enseignement supérieur); აქ ასწავლიან ბანკების ოპერაციებს, კონტაბილიტეს (ე. ი. ანგარიშს და დავთრების ხმარებას), პოლიტიკურ ეკონომისს, ვაჭრობის ფითარებას, საქონლის გამოცნობას, ვაჭრობა-მრეწველობის, კანონმდუბლობას, ევროპიულ ენებს. დას. ერთი სიტყვით ყოველივე მას, რაც შეეხება კომერციას. ეს კურსები გრძელდება ორ წელიწადს და წლიური ქირაა 600 ფრანგი (225 მან.). მესამე განყოფილება კი არის ტისაჟის კურსი (Cours de tissage). იგი შეიცავს ორ ნაწილს: თეორიულ და პრაქტიკულს. პირველში ასწავლიან აბრეშუმის ჭიის აღზრდას, ფილატურს, მულინაჟს, ტიტრაჟს და კონდისიონებანს, ტეინტურს, ურდისაჟს, პლიაჟს, რემეტაჟს, უმთავრეს არმურების გამოცნობას, სურათების კარტზედ გადაღებას და სს.; აგრეთვე დაჰყავთ ყმაწვილები ტეინტურის, აპრეტის და ტისაჟის ქარხნებში და თვალ-და-თვალ უხსნიან ყველაფერს, პრაქტიკული ნაწილი კი წარმოადგენს ყოველ გვარ ფარჩეულის ქსოვას, აქვეა ვრცელი სახელოსნო, სადაც არიან მრავალი ხელის და შექანიკური საფეიქრონი თითქმის ყოველი სისტემისა;

აქვეა მულიანაჟის. კანეტაჟის და ურდისაჟის ყოველივე მანქანები და მუშა-მოსპეციალეთა ხელმძღვანელობით მოწაფენი მუშაობენ ამ სახელოსნოებში. ტისაჟის განყოფილება შესდგება ერთი წლის კურსიდან და სწავლის ქირიდ (სხდიან წელიწადში ფრანსიელნი 800 ფრ. (300 მან.) უცხოელნი კი 1,200 ფრ. (450 მან.). გარდა ამისა ყოველმა მოწაფემ უნდა შეიტანოს წლიურად 10 ფრანკი ბიბლიოთეკისათვის და 150—200 ფრ. (75 მან.) ფარჩეულის მინუშებისათვის და მანიპულაციებისათვის. ამას დავუძატოთ კიდევ 600 მანეთი ყიაწვილის წლიური ხარჯი (სახლი, ჭამა-სმა, ტან-ფეხი, წიგნები და სხ.), რაიცა სულ ერთიანად შეადგენს წელიწადში 1,125—1,150 მანეთამდე; ეს ხარჯი კი იმდენად დიდია, რომ თუ არა მდიდარს, სხვებს არ შეუძლიათ გაზარდონ მასში თავიანთი შვილები.

ეჭვი არაა, სწავლისამოდენა ფასი გააკვირვებს მკითხველს, მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ საფრანგეთში სწავლის ქირა საყოველთაოდ ფრიად დიდია და გაცილებით ძირი ვინემ სხვა-გან. ეს ზემოთქმული საკომერციო სასწავლებელი კერძოა, აქვს მთავრობილან მინიჭებული უმაღლეს სასწავლებელთა ყველა უფლებანი, დაყენებულია შვენივრად, შემკულია საუკეთე-სო მცირდნე პროფესორებით და არის ლიონის შამბრ-დე-კო-მერსის მფარველობის ქვეშ. მასში სწავლა დამთავრებულ მოწაფეს. მაშინვე იძლევენ კარგ აღგრძელებას და ჯარის კაცადაც მხო-ლოდ ერთ წელიწადს მიჰყავთ (ეს ითქმის ფრანსიელებზედ). ამ სკოლაში იღებენ არა ნაკლებ 16 წლის ყმაწვილს, რომე-ლსაც სთხოვენ (ქალაქის სკოლის კურსს); უცხოელთ კი ამ შემთხვევაში შეღავათი აქვთ, შეუძლიათ დაიკავონ ეგზამენი წლის ბოლოს. ყველა უცხოელ ყმაწვილს სკოლის აღმინისტ-რაცია სთხოვს თავმდებს (correspondent); სწავლა იწყება 5 ოქტომბერს (ჩერნებურად 23 სექტემბერს). ამ უამაღ ამ სკო-ლაში ერთი ქართველიც იმყოფება.

გარდა ამ სკოლებისა არის ქსოვის შესასწავლად კიდევ

სხვა ბევრად იაფი საშუალებანი; პირველი—ლიონის საქსოვი ქარხნები და სახელოსნონი. ზოგი ამათი პატრონები უფასოდ, ან მცირე ფასად იღებენ შეგირდად ფრანსიელთ და უცხოელთაც (apprent) და ამუშავებენ საფეიქროებზედ; ამ რიგად შეიძლება კაცმა შეისწავლის ერთის ან რამდენიმე გვარ ფარჩეულის ქსოვა და მეტი არაფერი; ეს კი არ კმარა. მეორე—არის ლიონში ეგრედ წოდებული მარტინიეს სკოლა (Ecole de Martonier), სადაც იმართება საღამური (საზამთრო) კურსები და გძელდება ოქტომბრიდან მარტამდე, (არის აგრეთვე საზაფხულო კურსებიც). იღებენ ყველას, ეროვნების გაურჩევლად, ასწავლიან ფრანგულ ენას (გრამატიკას და ლიტერატურას), ანგარიშს, მეცნიერების სხვა-და-სხვა დარგებს, ფარჩეულის ქსოვას და სხ. კვირაობით მიჰყავთ შეგირდები ზემოთქმულ საკომერციო სკოლის სახელოსნოებში და იქ ასწავლიან ქსოვას. პრაქტიკულად. ყველა ამათებისთვის სათითაო საგანზედ შეგირდს შეაქვს ნახევარ წლის კურსზედ მხოლოდ 3 ფრ. (ე. ი. 1 მ. 10 კ.). ეს იმდენად მცირე ფასია, რომ ყველას შეუძლია გადიხადოს, ამიტომ მრავალი დარიბი კაცი ეტანება ამ სკოლას.

მესამე საშუალება არის კერძო გაკეთილება პრაფესიონელთან და სპეციალისტებთან, (ისინი ლიონში ბევრია). გაკვეთილი ლირს საათში 2—3 ფრან. და ხშირად 5-ც. ეს კი, ცოტა არ იყვეს, ძვირია, ხოლო ძლიერ სასარგებლოა. (სწორედ იქ ჩამოთვლილ საშუალებათ მიმართა ერთმა ხელვიწრო, მშრომელმა ქართველმა, ტრ. ლ—ძემ, რომელიც ორი წელიწადი იმყოფებოდა ლიონში, სწავლობდა ბეჯითად მებრეშუმობას, განსაკუთრებით—კი ფარჩეულის ქსოვას (ტისაუს). სწორედ ქების ლირსია ეს ყმაწვილი კაცი, რომელიც არ შეუშინდა არავითარ დაბრკოლებას და გავირვებას, თვით საშინელ სიღარიბეს და შიმშილსაც—კი, შეებრძოლა მათ და მიაღწია მიზანს. არ შემიძლია აქ არ შევნიშო გაკვრით, რომ არა ფგონებ; ჩვენი სა-

ზოგადოება ეპურობოდეს სხვა რამეს. ისე გულცივად და ისე
უზრუნველად იყოს ვინმე დატოვებული, როგორც კუროპას
მოსწავლე ქართველი ყმაწვილება; მაშინ, როდესაც ეს ყმაწვილე-
ბი უმეტესად სწავლობენ იქ მეურნეობას, გამსჭეალული არიან
კეთილშობილურ აზრებით და ჰესურთ ემსახურონ თავიანთ სა-
მშობლოს იმ მხრივ, რომელსაც იგი უფრო საჭიროებს, ე. ი.
ჰესურთ აღადგინონ ჩვენი დაცემული მეოჯახობა, მაგრამ ბევ-
რი მათგანი მეტად შეუწუხებია ნივთიერ გაჭირვებას, დამხმარე-
კი არავინაა... ამა კიდევ ჩვენი საზოგადოება-ინტელეგტურის
უგულობის შედეგი! რომელიმე უსარგებლო წევრისათვის ხან-
დახან ეს საზოგადოება რას არ ეცდება და ცდილობს! მართავს
საღამოებს, წარმოდგენებს, ხელმოწერას და ათას რამეს; ამავე
დროს კი შორს უცხოეთში ობლად გადაკარგული მეურნეო-
ბის შესასწავლად და საშინელ სიძეირეში ჩავარდნილი, კეშ-
მარიტად სასარგებლო მოძმენი არიან სრულიად დავიწყებულნი...



ჩვენ ამ მცირე შრომაში შევეხეთ მოკლედ მეაბრეშუმო-
ბას და აბრეშუმის ინდუსტრიას. ეჭვი არაა, ამ მოკლე შრო-
მაში ჩვენ ვერ გამოვხატავდით ვრცლად ამ რთულ საგნებს;
იძულებული გავხდით გამოგვეტოვა მრავალი მცირე სამნიშვნე-
ლო კითხვები და მხარეები; ბევრიც კიდევ დაგვრჩა არა-საკმა-
რისად ახსნილი და გამორკვეული. იმედია, ჩვენი ძეირფასი
მკითხველი მოგვეპყრობა სულგრძელად და მოგვიტავებს ჩვენს
ნაკლს, მით უმეტეს, რომ ეს ჩვენი პირველი შრომაა ამ საგა-
ნზედ. დასასრულ, ნება მიბოძეთ ორიოდ სიტყვა მოგახსენოთ,
თუ რა ფასებშია დღეს აბრეშუმი უვროპაში და რა ამბები
ხდება. იქა.

როგორც ზეით ვსთქვით, ამ საუკუნეში დღემდე ფარჩე-
ულ ში პირველი ალაზი ეჭავთ და უკავია კიდევ საფრანგეთს.

ამ ხანად მის მეტოქეებად გამოსულან. სამი ქვეყანა: გერმანია, შვეიცარია და ამერიკის შტატები; იმათ, კამის წართვან. საფრანგეთს პაზრები და გამოაცალონ ხელიდგან ერთი უმთავრესი სიმღიდო. როგორც პერმეცელის სიტყვიდან სჩანს ამ 8—10. წლის წინად საფრანგეთის ფარჩეულის ფასი წლიურად ადიოდა თითქმის 40.0 მილიონ ფრანკზედ. გერმანიის 225 მილიონზედ, შვეიცარიის 80 მილიონზედ და ამერიკის 105 მილიონზედ. დღეს-კი საფრანგეთში პესოვენ მხოლოდ 405 მილიონისას, შვეიცარიაში-კი 150 მილიონისას, გერმანიაში 300 მილიონზედ მეტს, ამერიკაშიც 200 მილიონამდე, ამასთანავე ამ სამს ქვეყანაში საფეიქრონი (ნეტადრე მექანიკური) იზრდებიან საოცარის სისწრაფით, მაშინ როდესაც საფრანგეთში ხელის საფეიქრონი თითქმის განახევრებულან, (წინეთ იყო 100 ათასი, ახლა კი მხოლოდ 50 ათასი; მექანიკური საფეიქრონი კი მომატებულან; იყო 20 ათასი, არის ახლა 28 ათასი). ამ რიგად ამ ათ წელიწადში საფრანგეთის ფარჩეულს უმატნია 1—2%—ტით, გერმანია-ამერიკა-შვეიცარიის ფარჩეულს კი 30—45%—ტით.* და თუ ამ რიგათ იარეს, ეჭვი არა, მალე ჩამოირჩენენ საფრანგეთს. საგულისხმოა კიდევ ის ცნობა, რომ აქამდე ამერიკას გავქონდა წლიურად საფრანგეთიდან 40—50 მილიონის ფარჩეული, ახლა კი მხოლოდ 20—23 მილიონის, და ისიც შალე შესწყდება. არა უკეთეს ყოფაშია ლიონის განთქმული კონდისიონიც. როგორც ზევით ვსოდეთ, აქამდე იგი უუპირველესად ითვლებოდა მთელს ქვეყანაზედ და თუმც ახლაც საკმაოდ იზრდება, მაგრამ მაინც ჩამორჩენია სხვას და პირველობა დაუთმია მილანისათვის (იტალია). ამ რიცხვებიც:

დიონი

ჰილანი

1894 წ.—5,839,648 კილო უბრალო დაძუ. ძავი	5,775,270 კილო უბრალო დაძუ. ძავი
1895 წ.—6,825,546 კილო უბრალო დაძუ. ძავი	6,915,965 კილო უბრალო დაძუ. ძავი

*.) იხ. შურნ. „L'économiste français“ № 45, 1898 წ. 33. 616—617.

1896 ₮.— 6,086,587	"	6,264,015	"	"
1897 ₮.— 6,793.309	"	7,416,955	"	*)

ამ მოვლენამ ფრიად დააფიქრა საფრანგეთი და შეუდგა უკვე ამათ მიზეზთა ძებას, რაც შეეხება ამ წლის აბრეშუმის ფასებს საფრანგეთში, ის რას შეიცავენ ამ უკანასკნელ სამი თვის ფასები (ე. ი. 1898 წელს).

1 კილოგრამი შეულ (უმი)	ტრამი (უკულა აბრეშუმი (უკულა სარისხის)	ტრანსიენტ (უკულა სარისხის)
საფრანგეთი . . . 40 — 49	ფრ. 47 — 48	ფრ. 45 — 53 ფრ.
იტალია . . . 41 — 45	" 46 "	48 — 50 "
პიემონტი . . . 42 — 46	" 47 "	49 — 50 "
სირია . . . 41 — 44	" —	45 — 48 "
ჩინეთი , . . 24 ¹ ₂ — 43	33 — 40 "	37 — 48 "
იაპონია . . . 41 — 43 ¹ ₂	43 — 47 "	44 — 49 "
სათათრ. (ბრუსი) 38 ¹ ₂ — 44	" —	42 ¹ ₂ — 44 "

გამხმარი პარკის ფასი კი საფრანგეთში ამ უამაღ აღის 10 — 12 ფრანჟამდე ერთი კილოგრამი; ხან-და-ხან აღის 13 — 14 ფრანჟადაც. ამ რიგად, რომ ავილოთ სულ მცირე, ფასი 10 ფრანკი კილოზედ, ჩვენებურ გირვანჭას ხვდება 4 ფრ.. ანუ 1 მან, 50 კაპ. ჩვენ ვიცით, რომ ორთა-შუა რიცხვით 3 გირვანჭა ნედლი. პარკი აკეთებს ერთ გირვანჭა ხმელ პარკს. ამ რიგად გირვანჭა ნედლი პარკის უკანასკნელი ფასი ყოფილა 50 კაპ. ჩვენ კი ვყიდით მას აბაზად, ხუთ შაურად და იშვიათად ექვს შაურად. ამ რიგად ვჰკარგავთ ნახევარ ფასად, ჩვენს ძვირფასს, შრომით და ოფლით მოწეულ ნაწარმოებს.

XIII

ახლა ვიკითხოთ, თუ რას წარმოადგენს ჩვენში მეაბრე-

*) იქვე.

**) იხ. ურ. „Bulletin dessacec et des soieries“ № 1122 1898.

ქ. და ურნ. „Le moniteur de Soie“ № 1884, 1898 ქ.

შუმობა? თუ ვერწმუნებით ისტორიკოსთ, წინანდელ დროში იგი ყოფილა საკმაოდ განვითარებული. შემდეგ ცუდ პირობა-თა ზეგავლენით მეაბრეშუმობა ძლიერ შემცირებულა; 60—70-დან წლებში ისევ იწყება ჩვენში მეაბრეშუმობის აღორძინება, მაგრამ მალე მისი ზრდა ძლიერ შეაფერხა სხვა-და-სხვა ჭირმა; მასთან ძაფის ფასის დაცემამ. (წინად იყიდებოდა 5—6 მანე-თში გირვანქა, შემდეგ კი 6—7 აბაზში). ამ ბოლო დროს მეაბრეშუმეთა ამხანაგობათა დაარსებამ ძლიერ შეუწყო ხელი ამ დარგის აღორძინებას თავის საღი თესლით და უმეტესად ჩარჩებთან ბრძოლით. მეაბრეშუმობის განვითარებას ჩვენ ვატ-ყობთ უმეტესად ქვემო იმერეთში და გურია-სამეგრელოში, თუმც საქართველოს უმთავრესი ნაწილი წარმოადგენს შვენი-ერ პირობებს ამ დარგისათვის.

მეაბრეშუმობა სოფლისათვის დიდათ სასარგებლოა და კლების ღარიბ ოჯახის დიდი დამხმარე, ხოლო მამაკაცი ვერ გაცდება მისთვის (არ აძლევს დიდ ხეირს), იგი ქაღიების და ბავშების საქმეა; ამ რიგად ისინი ორ-სამ თვეში შეიძენენ რამ-დენიმე ათ მანეთს და მით შეიტანენ თავიანთ წვლილს ოჯა-ხის საერთო ექონომიაში. მასთან სასურველია ძლიერ, რომ სააბრეშუმო ამხანაგობებმა მიაქციონ განსაკუთრებითი. ყურად-ღება თუთის საყოველთაოდ გამრავლებას, რის უქონლობა მე-ტად აფერხებს მეაბრეშუმობის გავრცელებას. ბერების ანუ თუთის ხე არამც თუ იძლევა აბრეშუმის ჭიის საზრდოს, არა-მედ იგი ფრიად სასარგებლოა, როგორც ვენახის კარგი ხარდ-ნის (ჭიოს) მომცემი დი მასთან როგორც კარგი საწვავი. და საღურგლე ხე. მისი ნაყოფი კი მეტად გემრიელი საჭმელია და თან იძლევა მშვენიერ არაყს. ამიტომ უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება ბლომად გავამრავლოთ ყველგან ეს ფრიად სასარ-გებლო მცენარე. ხალხს უნდა ჰქონდეს თუთის ფოთოლი. ჩაც შეიძლება ბლომად, უნდა მიეცეს აბრეშუმის ჭიის საღი თეს-ლი, უნდა მოვაკილოთ წურბელა-ჩარჩნი, უნდა ავუწიოთ ფა-

სიბრ ნაწარმოებს, უნდა ვასწაველოთ ჭიის გონივრული მოვლა და აღზრდა, ამ რიგად უველა მიჰყოფს ხელს მეაბრეშუმობას.

ჩვენი მეაბრეშუმობის მეორე დამლუპველი მხარეა ის, რომ ჩვენ (ორიოდ გარდა) არა გვაქვს ეკროპიული ფილატიურები, ვიღებთ ჩვენებურ სამუხელათი მეტად ტლანქს და უვარგისს ძაფს, რის გამო მისი ფასი მსოფლიო ბაზარზედ ფრიად მცირეა, ამ რიგად ან ვკარგავთ ძაფად სულ ოხრის ფასად, ან არა და ვყიდით პარკად, რითაც ეგრეთვე ღიდად ვზარალობთ. ჩვენი აბრეშუმი უმეტესად გააქვთ (ვგონებ ახლაც) ტრაპიზონსა და სტამბოლში, იქ ურევენ სხვა აბრეშუმში და სათათრეთ-სიარის აბრეშუმის სახელით იყიდება დაბალ ფასებში უმეტესად საფრანგეთში. ბევრი ვეძებე საფრანგეთის სააბრეშუმო ბიულეტენებში, წიგნებსა და ეურნალებში და ვერსად ვერ ვნახე ვერც საქართველო და ვერც კავკასია, როგორც აბრეშუმის პირდაპირი გამყიდველნი. თვით ჩვენი აბრეშუმის ტიპი, სახელი დაკარგულია, დარჩენილა სირის და სათათრების (ბრუსის) სახელები. აი ამ საზარალო მოვლენას მივაქცევ ქართველ მეაბრეშუმეთა და ამხანაგობათა ყურადღებას და საჭიროა კარგად გაიცნონ ევროპა, გაიცნონ საფრანგეთი (ლიონი), ლიონის კონდისიონი, შამბრ-დე-კომერსი და ღიღი სააბრეშუმო ფირმები, პირდაპირ მათთან დაიკავონ საქმე და ამ რიგად მოიშორონ თავიდან მავნე შუამავლები, ე. ი. სხვა-და-სხვა საეჭვო ფირმების აგენტები და ვაჭრები, რომელნიც ერთის მხრით გვატყუებენ და გვწოვენ ჩვენ, მეორე მხრით კი ათას გვარ ფალსიფიკაცია-ით ამცირებენ ჩვენი აბრეშუმის ფასებს და უხდენენ მას სახელს მსოფლიო ბაზარზედ, ან ხშირად უკარგვენ სრულიად თავის ტიპსა და სახელს. ეგრეთვე ჩვენ უნდა ვყიდოთ პირდაპირ რუსეთის დიდ ფირმებზედ ჩვენი აბრეშუმი, მეტადრე ძაფად.

ამხანაგობათა ყურადღება მსურს კიდევ მივაქციო ფილატიურების და მულინაურის დაარსებას. მათი მოწყობა და მანქანები არაა მაინც და მაინც ძვირი. ფრიად სახეირო კია, დრო-

არის დავასვენოთ სამუდამოდ ჩვენი მედიას დროინდელი სამუხ-
ხელა, ჯარა, თითისტრები და მივჰყოთ ხელი ევროპიულ ფი-
ლატიურა, დევილაჟს და სართავ მანქანებს. ამათების შეძენა
გლეხთ თავისთავაზ არ შეუძლიათ; საჭიროა აქაც დაეხმარონ
მათ ამხანაგობან ფილატიურა-მულინაჟს კი უნდა მოჰყვეს
ტეინტური, ე. ი. ძაფის გამოხარშვა და შეღებვა. ამ დარგი-
სათვისაც საჭიროა მცოდნე პირები (სპეციალისტები). შემდეგ
უნდა გაჩნდეს ევროპიული ხელის საფეიქროანი და მექანიკები,
ე. ი. უნდა შამოვილოთ ევროპიული ტისაჟი. ამ უამაღ კი ტისაჟის
ქარჩები ჩვენში ადრეა და ვერ იხეირებენ, რადგან არა გვაქვს
საიმათო ძაფი, და თუ გამოვიწერთ მას ევროპა-რუსეთიდან,
მის მაგიერ კი პარკებს გავუგზავნით, ამით სვენ შორს ვერ
წავალთ; ამას ისევ პირდაპირ ფარჩეულის ყიდვა აჯობებს*).
ამიტომ ჯერ უნდა ვეცადოთ ძლიერ და დავამზადოთ მხოლოდ
შასალა, ე. ი. კარგად ამოხგეული, დაგრძესილ-გამოხარშული და შე-
ღებილი ძაფი, შემდეგ კი ვქსოვოთ მისგან ნაზი და ძვირფასი
ფარჩეული, — რომ მეაბრეშუმობას მის ინდუსტრიას დიდი შე-
დეგი მოელის ჩვენში, ამაში უნდა ვიყოთ სრულიად დარწმუ-
ნებული; ერთი რომ ჩვენი ხელის შემწყობიდ საუკეთესო ფეო-
გრაფიული და კლიმატოლოგიური პირობანი, მეორე სოფლის
ხალხისა, ე. ი. ქალისა და ბავშების სიმრავლე. რომელნიც
ევროპიელებივით არ არიან ქარხანა-ფაბრიკებში შემწყვდერლი,
არამედ არიან თითქმის უსაქმურად მთელი წელიწადი. მესამე
კი უმეტესად ის, რომ ჩვენ გვაქვს უუდიდესი ბაზარი, — ესაა
კრიული რუსეთი თავის 130 მილიონ მცხოვრებით. ამ მხრივ ჩვენ
გაცილებით უკეთეს პიროებბში ვართ, ვინემ ევროპა-ამერიკა:

*.) შეიძლება დავაარსოთ საქსოვი პაწია სახელოსნონი და ვქსოვოთ
უბრალო ფარჩეული (ხოლო ბევრად გაუმჯობესებული ვინემ ჩვენი და-
რაია), მაგ. უნი, ტაფტა, სერუე და სხ. ძვირფას ფარჩეულთ კი მაგ. სა-
ტენს, ფასონეს, ხავერდს და სხვ. ჯერ ჩვენ ვერ მოვქსოვთ, შესაფერ ძა-
ფის უქონლობის გამო ავტორი:

ისინი ერთმანეთს ებრძვიან და აცლიან ბაზარს; ჩვენ კი როგორც აბრეშუმის, აგრეთვე ყოველივე სამეურნეო-სამრეწველო ნაწარმოებთა, გამსალებლად გვეყოლება რუსეთი, რომელიც სიხარულით მიიღებს ჩვენს ყოველივე ნაწარმოებს და დაუკეტს კარებს ევროპა-ამერიკის საქონელს. ჩვენ კი ერთი-ლა დაგვრჩენია: ესაა სწავლა, მხერია, საერთო შრომა, მეცნიერება და მომავალი ჩვენა. ამ რიგად ადვილად ვსძლევთ ყოველივე დაბრკოლებას, მოვიშორებთ წურბელებს და მკბენართ, გავმაგრდებით წელში, შევიკრებთ ნივთიერ ძალ-ლონებს და მხედლავადგებით კულტურის, განათლება-ცივილიზაციის. და პროგრესის გზას. მაში, მივსცეთ ძმურად ერთმანეთს ხელი ყოველმა ქართველმა, ყოველმა სოფლის მემამულებმ და მუშამ, ვიშრომოთ ერთად, ვიმხნეოთ, ვსძლიოთ ყოველივე დაბრკოლებანი და გამარჯვება ჩვენია!

გვასსოვდეს ყველას,
რომ შრომაა კაცის დიდება,
რომ ხალხის გზა და მომავალი
შრომით ბრწყინდება.



კორიეპტურული შეცდომანი.

სტრიქონი დაბეჭილია უნდა იყოს

გვ. ზევ.

7	1	მუქანიკუთ	მუქანიკურ
8	13	უმთავრესი ჯიში აბრეშუმის ჯიშ.: უმთავრესი ჯიში აბრეშუმისა:	უმთავრესი ჯიში აბრეშუმისა:
11	21	იგსება ბრესცია	იგსება ბრეცია
12	18	ბომბის	ბომბიქს
14	—	** იხ. „L'atr	** იხ. „L'art
18	—	poiut dd	doiut de
23	25	მარმაშის	მარმაშის
25	20	ბეფნაც	ბეფნიც
29	4	შეგნივას	შეგნითას
—	20	qevidage	devidage
31	2	ჰარეს	ჰარეს
39	18	Dessiccateur	Dessiccateur
48	11	deviqoir	devidoir
—	—	dévlber	dévider
—	17	dótrancaner	detrancaner
—	21	კანკრიური	კანკრიური
49	27	ადამიანის გამოჩენილ	ადამიანის ღ გამოჩენილ
56	1	ფანტაზიას	ფანტაზიას
59	*	Lyou	* Lyon
63	27	შიდუელა	შეცილა



63

451

